ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## სერგო ვარდოსანიძე: „მოსაყდრე პატრიარქის შეუძლოდ ყოფნისას პატრიარქის მოვალეობას ასრულებს“



გვ.4

**23 ნოემბრიდან**

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

ქართული დეტექტივი

ტომი 13




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

პარასკევი, 24 ნოემბერი, 2017 №279 (7514) ფასი: 50 თეთრი

# ვინ არის რუსეთის მოქალაქე ს.დ., რომელიც სპეცოპერაციის დაწყებამდე დააკავეს



გვ.2

პროკურატურა: „მას 10-დან 17 წლამდე ციხე ემუქრება“

## არის თუ არა ლიკვიდირებულთა შორის ახმედ ჩატაევი



## „თბილისი იარაღით, ნარკოტიკებითა და ბორდელებით არის გაძეძგილი“




გვ.3

გიგლა ბარამიძე: „დაზვერვას, აგენტურასა და სპეცსამსახურებს სერიოზული პრობლემები აქვთ“



გვ.7

**სპეცოპერაცია მცხეთაში — მძევლად ხელში ჩაგდების ბრალდებით 4 პირი დააკავეს**

## დავით ნემსაძე: „ვფიქრობ, სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული პირები დივერსანტები იყვნენ“



გვ.4

## პირველად საქართველოში, თიბისი ბანკი ფერმერებს სტარტაპ-აგროსესხს სთავაზობს




გვ.6

**რამაზ საყვარელიძე: „ნინო ლომჯარია სახალხო დამცველად შეიძლება გამოდგეს“**



გვ.2



**ელენე ხოშტარია: „სპეცოპერაციის თემაზე აბსოლუტურად დაუშვებელია ნიშნის მოგებით შეფასებები“**

გვ.7

**სამართალი**



**ვახტანგ ქუთათელაძე: „საზოგადოებამ არც უნდა იცოდეს, რა ხდებოდა კულისებს მიღმა“**

**ეკონომიკა** გვ.5

**გიორგი კაკაურიძე: „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი ხარჯები ლარზე ზეწოლას არ გამოიწვევს“**



**იანვარ-აგვისტოში თამბაქოს მოხმარება საქართველოში 900 მილიონი ღერით შემცირდა**



**იმ კორპუსის აღდგენითი სამუშაოები, სადაც სპეცოპერაცია მიმდინარეობდა, უახლოეს დღეებში დაიწყება**




ISSN 1987-9385

7 ოკუპირებულ ტერიტორიაზე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დაარბიეს

8 „ისლამური სახელმწიფოს“ ჯგუფები სირიისა და ერაყის ფარგლებს გარეთ ძლიერდებიან

7 გიორგი გახარია: „ძალიან დიდი გეგმები გვაქვს, კიდევ უფრო ახლოს მივიდეთ თითოეულ მოქალაქესთან“

5 „პერბიას“ რთული გზა საქართველოდან ევროპამდე

# ვინ არის რუსეთის მოქალაქე ს.დ., რომელიც სპეცოპერაციის დაწყებამდე დააკავეს

## პროკურატურა: „მას 10-დან 17 წლამდე ციხე ემუქრება“

შორენა მარსაგიშვილი




გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაცია სულ უფრო ბევრ კითხვას აჩენს. თადარიგის პოლკოვნიკმა დავით მაყიშვილმა სპეცოპერაციის დასრულებიდან მოკლე ხანში სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა. მისი თქმით, ლიკვიდირებულთა შორის ერთ-ერთი ცალხელა ახმედი, იგივე ახმედ ჩატაევია.

ახმედ ჩატაევს ჩვენი საზოგადოება 2012 წლის ლაფანყურის სპეცოპერაციიდან იცნობს. ის საერთაშორისო თანამეგობრობამ ოდნავ მოგვიანებით გაიცნო. დღეს ის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ტერორისტად ითვლება. მის სახელს უკავშირდება გასულ წელს ათათურქის სახელობის აეროპორტში მოწყობილი ტერაქტი.

გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად 3 ადამიანი იქნა ლიკვიდირებული. ძალოვნები ამტკიცებენ, რომ მათი ვინაობა ჯერ არ იციან, შესაბამისად, ვერც იმას ამბობენ, არის თუ არა დაღუპულთა შორის ჩატაევი. არადა, მისი ამოცნობა ძალიან მარტივია. ის ცალხელა და ცალფეხაა.

ჩატაევის შესაძლო ლიკვიდაციასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა ახალი მინისტრ გიორგი გახარიას ასეთი პასუხი აქვს:

– ყველას კარგად გვესმის, რომ დღეს არის უკვე მშვიდად, წყნარად გამოძიების დრო, არავის აქვს ინტერპრეტაციების გაკეთების უფლება, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ყველაფერზე, მაგრამ, სანამ არ დასრულდება გამოძიება და არ დასრულდება ექსპერტიზების ის ეტაპი, რომელიც აუცილებელია, კონკრეტული მსჯელობისგან უმჯობესია თავი შევიკავოთ. იმისთვის, რომ ვიმსჯელოთ შინაარსობრივად, უნდა დაველოდოთ გამოძიების დასრულებას.

უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე კარგად იცნობს ახმედ ჩატაევს. როგორც ამბობენ, ცალხელა ახმედი სწორედ მისი რეკომენდაციით გამოუშვა „ოცნებამ“ ციხიდან. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ის მკურნალობის კურსის გასავლელად ავსტრიაში გაემგზავრა, საიდანაც სირიაში ამოყო თავი.

ნანა კაკაბაძის თქმით, თავიდან ეგონათ, რომ ლიკვიდირებულთა შორის მართლაც იყო ცალხელა ახმედი, მაგრამ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.

– ამბობდნენ, რომ ლიკვიდირებულია ცალხელა და ცალფეხა ადამიანი, თუმცა იმავე კორპუსში მცხოვრებლები არ ადასტურებენ, რომ მათ ასეთი ადამიანი უბანში ან კორპუსში ცხოვრობდა, – აცხადებს მედიასთან საუბარში კაკაბაძე.

ახმედ ჩატაევის შესაძლო ლიკვიდაციაზე ინფორმაციას არ ფლობს ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი. „ახალ თაობასთან“ საუბარში ის ამბობს, რომ გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ლიკვიდირებულები ჩატაევის დაჯგუფების წევრები იყვნენ.

ანალიტიკოსმა ჯერ არ იცის, რატომ იმყოფებოდნენ ისინი საქართველოში.

– არ გამოვრიცხავ, რომ ისინი აქედან რუსეთში აპირებდნენ გადასვლას, – აღნიშნავს კასრელიშვილი.

ის მეორე ვერსიაზეც საუბრობს და ფიქრობს, რომ ლიკვიდირებულები მძევლების აყვანას აპირებდნენ.

– არის ასეთი ვერსიაც, რომ ისინი მძევლების აყვანას აპირებდნენ, რის შემდეგაც ხელისუფლებისგან ციხეში მყოფი თანამებრძოლების გათავისუფლებას მოითხოვდნენ, – აცხადებს ანალიტიკოსი.

რაც შეეხება თავად ჩატაევს, კასრელიშვილი ფიქრობს, რომ ის საქართველოში ვერ შემოვიდოდა.

– ეს ადამიანი შავ სიაშია. საქართველოში მოსახვედრად მას რამდენიმე ქვეყნის საზღვარი უნდა გადაელახა, რაც წარმოუდგენლად მიმაჩნია, – ამბობს კასრელიშვილი.

ისედაც ბურუსით მოცული სპეცოპერაცია კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა კავკასიის ხალხთა ინტეგრაციის ფონდის ხელმძღვანელმა უმარ იდიგოვმა. მან რეგინფოსთან საუბარში განაცხადა, რომ ოჯახი, რომლის წინააღმდეგაც თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე სპეცოპერაცია ჩატარდა, ჩეჩნეთიდან საქართველოში სამკურნალოდ იყო ჩამოსული.

იდიგოვი აცხადებდა, რომ ის სპეცოპერაციის ადგილზე 22 ნოემბრის დილით, დაახლოებით 5 საათიდან მივიდა და მისთვის ცნობილია, რომ ბინაში, რომელიც სპეცოპერაციის სამიზნე იყო, 2 მამაკაცი, 1 ქალი და 2 მცირეწლოვანი ბავშვი იმყოფებოდნენ.

### არის თუ არა ლიკვიდირებულთა შორის ახმედ ჩატაევი

მისივე თქმით, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის დაწყებამდე ბინიდან ერთი ბიჭი და ქალი ბავშვებით გაიქცნენ.

– ხომ ამბობენ, რომ სამი ადამიანის ლიკვიდირება მოხდა? დილით მათ გაექცათ ბიჭი და ქალი ბავშვებით. ამას ჩვენები ადასტურებენ და ეს არსად უთქვამთ. მაშინ საიდან გაჩნდა სამი ცხედარი?

მეორე, როგორც ჩვენი სპეცსამსახურები ამბობენ, რომ მათ ჰქონდათ ბევრი იარაღი, ე.ი. მათ თავად მისცეს უფლება, შემოსულიყვნენ საქართველოში, მისცეს იარაღი, ისევე, როგორც ეს ლაფანყურის შემთხვევაში მოხდა. გახსოვთ ლაფანყური? თავად შემოიყვანეს, თავად მოამზადეს, ანტიტერორისტული ცენტრი პატრონობდა, შემდეგ კი არჩევნებამდე დახოცეს, – აღნიშნავს რეგინფოსთან საუბარში იდიგოვი.

იდიგოვის განცხადებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არ ადასტურებს.

21-22 ნოემბრის სპეცოპერაციისთან დაკავშირებით გუშინ, 23 ნოემბერს, კიდევ ერთი დეტალი გაჟღერდა. გაირკვა, რომ სპეცოპერაციის დროს დაკავებული პირი რუსეთის მოქალაქეა.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის სურვილია, მისი სახელი და გვარი არ გაჟღერდეს. ის რუსეთის მოქალაქეა. ის მანამდე დააკავეს, ვიდრე სპეცოპერაცია დაიწყებოდა, – აღნიშნა მისმა ადვოკატმა იმედა ქარქაშაძემ.

ამ პირის წინააღმდეგ გამოძიება სსკ 328-ე და 323-ე მუხლებით მიმდინარეობს. აღნიშნული მუხლი პატიმრობას 10-დან 17 წლამდე ითვალისწინებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მთავარ პროკურატურაში განუცხადეს, გამოძიება უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებასა და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარებისთვის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის ტერორისტული მიზნით, მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების მუხლით მიმდინარეობს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# რამაზ საყვარელიძე: „ნინო ლომჯარია სახალხო დამცველად შეიძლება გამოდგეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** პასუხობს.

***– ბატონო რამაზ, 7 დეკემბერს უფლებამოსილება ეწურება უჩა ნანუაშვილს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ უმრავლესობა ნინო ლომჯარიას კანდიდატურას ლობირებს. ძველ სახალხო დამცველს დიდად არ სწყალობდა მმართველი გუნდი. თეა წულუკიანმა მას ყველაზე უსამართლო სახალხო დამცველიც კი უწოდა. რით გაანაწყენა უჩა ნანუაშვილმა ხელისუფლება?***

– სახალხო დამცველები ზოგადად წყენას იწვევენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამიტომ ჰქვიათ სახალხო დამცველები. ერთ-ერთი სირთულე ამ თანამდებობისა ისიც გახლავთ, რომ გამოიჩინოს სახალხო დამცველმა ელასტიკურობა, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური და ადამიანის უფლებათა დაცვაში მიაღწიოს მიზანს, ამავე დროს, ხელისუფლების მხარდაჭერითაც და არ აღიქმებოდეს სახალხო დამცველი, როგორც ხელისუფლებასთან ჯიბრში მყოფი. მაშინ საპასუხო ჯიბრიც მოჰყვება ხოლმე ამას.

***– გვყავდა ასეთი დიპლომატიური სახალხო დამცველი?***

– მაგ მხრივ მახსენდება კარგ მაგალითად ნანა დევდარიანი, ერთ დროს სახალხო დამცველი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მგრძნობიარე იყო მაშინ, პოლიტიკის მიმართ მგრძნობიარე, სახალხო დამცველმა მოახერხა ამ სირთულეებში გავლა და ბევრი ადამიანის ბედ-იღბლის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი სწორედ იმით, რომ კარგად დაამყარა კონტაქტი იმავე ძალოვან სტრუქტურებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.

***– სახალხო დამცველი ხომ ყოველთვის სიმართლისა და ჩაგრულის მხარესაა?***

– მარტო იმის თქმა, რომ სახალხო დამცველი სიმართლეს ამბობს და ამიტომ უნდა მოვუსმინოთ და ავიტანოთ, კი, ალბათ, უმრავლეს შემთხვევაში, მართალია და მტყუან-მართლის გარკვევა სხვა სტრუქტურების კომპეტენციაა, მაგრამ ის, რომ შენმა სიმართლემ არ დააზიანოს ის საკითხები, რომლებსაც ითხოვ, ალბათ უკეთესი იქნება.

ის, რასაც ნანუაშვილი ითხოვდა, მაგალითად, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებში მომხდარი დანაშაული გაიხსნას, ეს შეიძლება ისე მოითხოვო, რომ თვითონ მადლობა გითხრან სამართალდამცავმა სტრუქტურებმა, ხოლო თუ ჯიბრით დაუდექი, ისინიც ჯიბრით დაგიდგებიან.

***– ბოლო სახალხო დამცველის შემთხვევაში რასთან გვქონდა საქმე? უჩა ნანუაშვილი ჯიბრში ჩაუდგა სამართალდამცავებს?***

– ნანუაშვილი უფრო ხისტი იყო და ამიტომ უფრო ხისტი დამოკიდებულებაც მიიღო.

***– იყო მოსაზრებები, რომ უჩა ნანუაშვილი ყოველთვის ოპოზიციის მხარეს იყო, მათ უფლებებს იცავდა. რატომ უჩნდებოდა საზოგადოებას მსგავსი განცდები?***

– სახალხო დამცველი როცა ხისტ დამოკიდებულებაშია ხელისუფლებასთან, ბუნებრივია,



ის იზიარებს ოპოზიციის განცხადებებს, იმიტომ, რომ ხელისუფლებასთან აქვს სახალხო დამცველს პრეტენზიები.

***– რამდენად ფიქრობთ, რომ ხელისუფლების სურვილია ნინო ლომჯარიას ამ თანამდებობაზე წარდგენა? თუ მისი კანდიდატურა მისაღებია დასავლეთისთვის? ჩვენ მოვისმინეთ ამერიკის ელჩის განცხადება, თუ როგორ სახალხო დამცველს ისურვებდა.***

– მე ვერ ვიტყოდი, რომ თავის ბოლო თანამდებობაზე ლომჯარია იყო ისევ ოპოზიციური ფიგურა, როდესაც იყო აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე. მას საკმაოდ მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა და ის პოლიტიკურ შეფასებებში არასდროს გადასულა. მან მკაფიოდ დაიცვა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობის ფარგლები.

***– და „ოცნებამაც“ დაუფასა?***

– შეიძლება ეს პოლიტიკური კულტურა მას უმრავლესობამ დაუფასა და სწორედ ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ლომჯარიას კანდიდატურას განიხილავს. ძალიან ძნელი იქნება, ამ თანამდებობაზე იპოვო არასახელისუფლებო გუნდის გარეთ არაპოლიტიზებული ადამიანი, რომელსაც კრიტიკული მოსაზრებები არ ჰქონდეს გამოთქმული.

***– ანუ თქვენ სარწმუნოდ მიგაჩნიათ ინფორმაცია ნინო ლომჯარიას კანდიდატურასთან დაკავშირებით?***

– მე მგონი, შესაძლებელია, იმ ლოგიკიდან გამომდინარე, რომ ლომჯარიამ აჩვენა, რომ მას შეუძლია აღმასრულებელ სტრუქტურებში საკმაოდ კორექტულად და პოზიტიურად მუშაობა.

***– სხვა კანდიდატებზე რას იტყვით?***

– ყველა კანდიდატს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამიტომ აღმასრულებელ და სახელისუფლებო სტრუქტურებთან პოზიტიური ურთიერთობის, პროდუქტიული ურთიერთობის უნარი და გამოცდილება სასურველია ჰქონდეს ახალ ომბუდსმენს და, ამავდროულად, იყოს კრიტიკული. თუ ამ ორივე ნიშანს მიაქცევენ ყურადღებას ომბუდსმენის არჩევის დროს, ალბათ უკეთესი იქნება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თბილისი იარაღით, ნარკოტიკებითა და ბორდელებით არის გაძეძგილი“

## გიგლა ბარამიძე: „დაზვერვას, აგენტურასა და სპეცსამსახურებს სერიოზული პრობლემები აქვთ“

შორენა მარსაგიშვილი

რა შეცდომებს უშვებს ხელისუფლება, რა გვაჩვენა თბილისში ჩატარებულმა 21– საათიანმა სპეცოპერაციამ, რა კითხვებს უნდა გასცენ პასუხი მინისტრებმა, რა საფრთხეების წინაშე დგას ქვეყანა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

**გიგლა ბარამიძე:**

– 21-22 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაცია დღევანდელი ხელისუფლების აბსოლუტური არაპროფესიონალიზმისა და უუნარობის ქრესტომათიული მაგალითი იყო. უილაჯობის კლასიკის ჩვენების გარდა, მათ საზოგადოებაც ფეხებზე დაიკიდეს. დამთავრდა 21-საათიანი სპეცოპერაცია და, ფაქტობრივად, არანაირი განცხადება არ გააკეთეს. ერთმანეთისკენ იშვერენ ხელს, გვეუბნებიან, გამოძიება დაადგენსო.

ჩვენ, პოლიტიკოსები, ხშირად ვაფრთხილებდით ხელისუფლებას მოსალოდნელ საფრთხეებზე, მაგრამ ამათ მხოლოდ მოქაფვა აინტერესებთ, ან იმდენად ჩლუნგები არიან, რომ ვერაფერი გავაგებინეთ. რამდენი ხანია მიდის საუბარი იმაზე, რომ შესაცვლელია საიმიგრაციო პოლიტიკა. ამ მიმართულებით კანონებითაც უმწეოდ გამოვიყურებით და ქმედებებითაც.

საქართველოს პრეზიდენტსა და იუსტიციის სამინისტროს არა აქვთ იმის უფლება, ასე ჰაიჰარად არიგებდნენ საქართველოს მოქალაქეობას, თან დაჩქარებული წესით. უპრობლემოდ იძლევიან დროებითი ბინადრობის მოწმობებს. იციან საერთოდ, რა კატეგორიის ხალხი შემოდის საქართველოში ახლო აღმოსავლეთიდან?

ახლო აღმოსავლეთში ყველაფერი მოშლილია, ტერორისტები თუ მათი მხარდამჭერები ფიქრობენ, სად შეაფარონ თავი. ყველაზე სუსტი ამ მხრივ საქართველო აღმოჩნდა – შემოდიან და შემოდიან. ამის შემაკავებელი მექანიზმები ჩვენმა სახელმწიფომ სპეციალურად არ შექმნა. კითხვების პასუხად ათას სისულელეს ბჟუტურობენ, თურმე ამ ადამიანებს შემოაქვთ ინვესტიციები.

***– ინვესტიცია რამდენად არის, ვერ გეტყვით, მაგრამ თბილისში ძირითადად ახლო აღმოსავლეთიდან შემოსული პირები ხსნიან სხვადასხვა სახის ობიექტს.***

– ამათ რომ ვკითხოთ, ახლო აღმოსავლეთიდან შემოსულების მიერ გახსნილი ჩილიმბარები შველის ქართულ ეკონომიკას. მარტო ჩილიმ-ბარებს რომ ხსნიდნენ, რა გვიჭირდა. მათ მიერ არის გახსნილი ბორდელები, ნარკობრიტონები და ათასი უბედურება კიდევ. გვაქვს იმის გარანტია, რომ ამ ობიექტებში თავს მომავალი ტერორისტები არ იყრიან?!

ტერორისტებს მხოლოდ პრაქტიკულად კი არ ამზადებენ. მათთან მუშაობა ჯერ აგიტაცია-პროპაგანდით იწყება. საჭიროა მათი ფსიქოლოგიური მომზადება. ნაომრებს დასვენება და განტვირთვა სჭირდებათ.

საქართველოს ხელისუფლებას საიმიგრაციო პოლიტიკა მაქსიმალურად გამკაცრებული უნდა ჰქონდეს. ამის ნაცვლად მარტივად არიგებენ საქართველოს მოქალაქეობას და მიწების შეძენის უფლებასაც აძლევენ. ამ ყველაფერს რატომღაც ბიზნესის ხელშეწყობას უწოდებენ.

ეს აუცილებლად იჩენს მომავალში თავს, ისევე, როგორც თავი იჩინა პანკისის პრობლემამ. პრობლემები გაჩნდა აჭარაში. იქ მუსლიმები მრავლად ცხოვრობენ, მაგრამ მათ პრობლემები არასდროს შეუქმნიათ. ის სირთულეები მაშინ გაჩნდა, როცა აგრესიული ისლამის მიმდევრებმა მოიკიდეს ფეხი. ეს ადამიანები გამოდიან და გვემუქრებიან კიდევაც.

***– ქართველებზეა საუბარი?***

– ქართველებზე. ერთ-ერთ მათგანს ჟურნალისტმა ჰკითხა, მეჩეთები, ჯამეები და კერძო სამლოცველოები გაქვთ, ყველა თქვენ გეფერებათ და რაღა გინდათო. იმან უპასუხა, იმიტომ ვარ გაბრაზებული, ქვეყანა შარიათის კანონებით რომ არ ცხოვრობსო.

იცით თუ არა, რომ საქართველოში 400 აღურიცხავი მეჩეთია. აღარაფერს ვამბობ ოფიციალურ მეჩეთებზე.

***– აღურიცხავი მეჩეთი რას ნიშნავს?***

– სახლებში აქვთ გახსნილი კერძო მეჩეთები. ამის შესახებ ყველამ იცის, მაგრამ არანაირი რეაქცია არა აქვთ ამ ჩაჩნებს. იმასაც არ არკვევენ, ამ აღურიცხავ მეჩეთებში რა სახის ლიტერატურა რიგდება. ყველამ ვიცით, რომ პანკისიდან ათეულობით საქართველოს მოქალაქე წავიდა სირიასა და ერაყში საომრად. ხელისუფლებამ ამას ყურადღება არ მიაქცია, პრობლემის არსებობა მხოლოდ მაშინ აღიარეს, როცა სირიაში სკოლის მოსწავლეები წავიდნენ.

2 წლის წინ ტელევიზიით ერთი პანკისელი ბიჭი გამოვიდა, სკოლის მოსწავლე იყო და საკმაოდ განათლებული ჩანდა. მან თქვა, რომის პაპმა ურბანმა ისლამის გასანადგურებლად დაიწყო ჯვაროსნული ომიო. ეს ბიჭი ამბობდა, მე არ მივდივარ ხალიფატში, მაგრამ ჩვენი ბიჭები მიდიან, რომ ჯვაროსნებს გაუსწორდნენო, ხალიფატიც ამისთვის შეიქმნაო. აღმოსავლეთმცოდნე ვარ და ურბანი მე აღარ მახსოვს, ამ ბავშვს ვინ ჩაუდო ეს თავში? სპეცსამსახურები ამით არ უნდა დაინტერესებულიყვნენ? არაერთხელ ვთქვი, რომ თბილისში საეჭვო პირებზეა გაქირავებული ბინები. არ იციან სათანადო ორგანოებმა, რომ აქ ვიღაცები ჭრილობების მოსაშუშებლად ჩამოდიან. ხელისუფლება გვეუბნებოდა, რომ საქართველო ტრანზიტული ქვეყანაა და აქ ბევრი ვინმე შემოდის და გადის. გვიმტკიცებდნენ, ტერორიზმის საფრთხე არ გვემუქრებაო. ტერორიზმის საფრთხე რომ არ დაგემუქროს, ამისთვის პრევენციული ღონისძიებებია საჭირო. ტერორიზმის პრევენციას ვინ ჩივის, ხანძარი ვერ ჩააქრეს და სახანძრო ეკიპაჟები აზერბაიჯან-სომხეთიდან ჩამოიყვანეს.




## „საქართველოში 400 აღურიცხავი მეჩეთია“

***– ხანძრების დროს თქვენთან ინტერვიუ ჩავწერეთ და მაშინ თქვით, ღმერთმა არ ქნას, ქვეყანაში სერიოზული რამე მოხდეს, თორემ ესენი საშინელ დღეში ჩაგვაგდებენო.***

– მერე, არ ახდა? 21-22 ნოემბრის სპეცოპერაცია აბა რა იყო, თუ არა საშინელება. დელფოს სამისნოს წინასწარმეტყველი არა ვარ, მაგრამ ელემენტარულ ანალიზს ვაკეთებ. ანალიზის გაკეთება მთელი რიგი სამსახურების პირდაპირი მოვალეობაა. ისინი ამაში უზარმაზარ ხელფასებსა და პრემიებს იღებენ.

21-22 ნოემბერი იყო იმის კლასიკური მაგალითი, თუ როგორ არ უნდა ჩაატარო სპეცოპერაცია. 2-ოთახიანი ბინის ასაღებად რა საჭირო იყო ამდენი სპეცრაზმელის მისევა? აღმოჩნდა, რომ მთელი საქართველო 3 შეიარაღებულ პირს ებრძოდა. ისიც ვერ გავიგეთ, ვინ იყვნენ ისინი, ტერორისტები თუ დამნაშავეები, რომლებიც ბანკის გაძარცვას აპირებდნენ. იქნებ იარაღით მოვაჭრეები იყვნენ.

სპეცოპერაცია 21 საათი გრძელდებოდა და ადგილზე არცერთი მაღალი თანამდებობის პირი არ მისულა. მისვლით არ მივიდნენ, არ მივიდნენ, მაგრამ ტელევიზიით მაინც გამოსულიყვნენ და ხალხი ენუგეშებინათ. პარლამენტის სპიკერი ბელორუსში იყო, პრემიერი და მისტერ ვეტო პრეზიდენტი სად იყვნენ? ამათთან შედარებით, მოქნილი ტვინი აქვს კახა კალაძეს და მეგონა, ის მაინც მივიდოდა შემთხვევის ადგილზე.

***– ის მივიდა შემთხვევის ადგილზე, ოღონდ სპეცოპერაციის დასრულებიდან რამდენიმე საათში.***

– მერე მისვლას რა აზრი ჰქონდა. კალაძე თბილისის მერია და იქ უნდა მდგარიყო სახლებში გამოკეტილი თბილისელების დასაიმედებლად. იქ მისვლა არავინ მოისურვა და იცით, რატომ? არცერთი მათგანი დამოუკიდებელი ფიგურა არ არის, მათ შორის არც პრემიერი, არც უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და არც ფინანსისტი შს მინისტრი. მედიის წინ გამოჩენას იმიტომ მოერიდნენ, რომ სცენარი არ ჰქონდათ დაწერილი. ახლაც იგივე მოხდებოდა, რაც ციანიდის საქმის დროს ვიხილეთ. გახსოვთ, ერთმანეთს როგორ ასწრებდნენ მაშინ განცხადებების გაკეთებას? ყელყელაობდნენ და გვეუბნებოდნენ, საქართველო უდიდეს ტრაგედიას გადავარჩინეთო. მერე გამოძიება სულ სხვა მიმართულებით წავიდა. მწარე გამოცდილება ჰქონდათ და ახლა თავი შეიკავეს. ამის გამო მათ სხვაგან პასუხს მოსთხოვდნენ. ჩვენი საზოგადოება ამას არ აკეთებს და ხელისუფლებისგან იღებს იმას, რასაც იღებს.

ამათ, ფაქტობრივად, ყველაფერი შევარჩინეთ და ამიტომაც ვკიდივართ ფეხებზე. აბა ერთი 50.000 კაცს გაემართა აქცია ლარის გაუფასურების გასაპროტესტებლად, მეორე დღესვე გაამყარებდნენ ეროვნულ ვალუტას.

ამათი უნიათო სპეცოპერაციის გამო მთელი ქვეყანა შოკში იყო, ამათ კიდევ ერთხელ გადაწყვიტეს, ხალხისთვის დაეცინათ. სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ სუსმა განცხადება გაავრცელა, საიდანაც გავიგეთ, რომ ამ 3 კინკილა კაცს 3 კვირა დაჰყვებოდნენ. თქვე დალოცვილებო, თუ 3 კვირა დაჰყვებოდით, რაღას შეატანინეთ ამდენი იარაღი და რაღას მოაკვლევინეთ ის სპეცრაზმელი.

იმითაც „დაგვაიმედეს“, ექსპერტიზის დასრულების შემდეგ მოხდება სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილების იდენტიფიცირებაო. კი მაგრამ, 3 კვირა რომ დაჰყვებოდით, ვერ გაიგეთ, ვის დაჰყვებოდით? აი, ასეთი სიკრეტინე აღარსად ხდება. ახლა მთელი მთავრობა ზის და წერს სცენარს, რომ რამდენიმე დღეში რაღაც ამბავი გვიამბონ. პოსტფაქტუმ გვეტყვიან, რა უნდა გაეკეთებინათ გარდაცვლილ ადამიანებს. რეალურად აზრზე არ იყვნენ, ვინ იყო იმ ბინაში, სადაც 21-საათიანი სპეცოპერაცია ჩატარდა. სად იყო აგენტურა ან დაზვერვა? ან უბნის ინსპექტორმა მაინც არ იცოდა, რას აკეთებდა ის ხალხი? ამ დღეებში ნათლად გამოჩნდა, რომ დაზვერვას, აგენტურასა და სპეცსამსახურებს სერიოზული პრობლემები აქვთ. სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან შემეშინდა, 3 კაცს მთელი ქვეყნის სპეცრაზმებს რომ მიუსევ და 22 საათი დაგჭირდება მათ გასანეიტრალებლად, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება სერიოზული კრიზისის დროს? ამათ მარტო ის იციან, ფული როგორ იშოვონ და არჩევნები როგორ გააყალბებინონ სათანადო სამსახურებს. არჩევნების გაყალბების მეფეები არიან და დანარჩენი არ ძალუძთ. გაგახსენებთ პრემიერის ერთ ცნობილ განცხადებას. მან მთავრობის სხდომაზე პრეტენზია გამოთქვა იმის გამო, რომ ქართველ მამაკაცებს ღამის კლუბებში არ უშვებენო. ყველამ ჩათვალა, რომ ღამის კლუბების შემოწმება დაიწყებოდა.

***– როგორც ამბობენ, ამ განცხადების შემდეგ თბილისში კიდევ ბევრი ღამის კლუბი გაიხსნა.***

– ამ მხრივ კიდევ უფრო გართულდა საქმე. ისიც უცნაურია, პრემიერმა ამ თემაზე რატომ ისაუბრა მთავრობის სხდომაზე. მართლა თუ უნდოდა ბორდელების პრობლემის მოგვარება, სათანადო სამსახურებისთვის უნდა მიეცა დავალება. მას ეგონა, რომ პატრიოტულ რამეს ამბობდა და რაღაც წაიჟღურტულა. კვირიკაშვილის განცხადების შემდეგ ბორდელების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. შსს-ს თანამშრომლებს ერთი ბუჩქიდან მეორე ბუჩქისკენ კი ნუ დაარბენინებთ ხანძრის ჩასაქრობად, სხვა რამეებზე ამუშავეთ. გაიძეძგა თბილისი იარაღით, ნარკოტიკებითა და ბორდელებით. ამის შესახებ პირადად მე არაერთი საჯარო განცხადება გავაკეთე, მაგრამ ამით არცერთი სათანადო სამსახური არ დაინტერესებულა.

***– ერთ-ერთ ინტერვიუში იმაზეც საუბრობდით, თუ რა პრინციპით არჩევდნენ ნარკორეალიზატორებს. არც ამაზე ყოფილა რეაქცია?***

– რა რეაქცია. არადა, პირდაპირ დავუდე სქემა და მეტი რა ვქნა. სპეცრაზმს თუ მომცემენ, სპეცოპერაციასაც ჩავატარებ იარაღისა და ნარკოტიკების ამოსაღებად.

***– იარაღის ამოღებაში სერიოზული გამოცდილება გაქვთ მიღებული. სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორობის დროს ხშირად ატარებდით ასეთ ღონისძიებებს.***

– ეს ყველაფერი ერთ თვეში მოვათავეთ. ამის გაკეთება თბილისშიც შეიძლება, მაგრამ ამისი არც სურვილი აქვთ და არც თავი. თბილისთან ახლოს, ფონიჭალაში, ყოველკვირა ნარკორეალიზატორებს რომ აკავებენ, ამით აპირებენ გამსაღებლების წინააღმდეგ ბრძოლას? ერთი ბარიგა დაიჭირე? მის ადგილს მეორე დაიკავებს. აქ შედეგი თუ გინდა, ის ხაზი გადაკეტე, საიდანაც ნარკოტიკები შემოდის. ასევე ის ბობოლები უნდა დააკავო, რომლებსაც ეს ნარკოტიკები შემოაქვთ და ბარიგებზე ანაწილებენ. რეალიზატორებს პოლიციაშიც ბევრი მფარველი ჰყავთ. მათაც მკაცრად უნდა მოეთხოვოთ პასუხი. ამ ყველაფრის გაკეთება ძალიან მარტივად შეუძლიათ, მაგრამ არ უნდათ. არ უნდათ და შედეგად ჩინოვნიკების ქონება კატასტროფულად იზრდება. არ გახსოვთ, როგორი ჩამოხეულები მოვიდნენ? ახლა მილიონერები არიან და ისეთი გაბეყილები დადიან, თითქოს მაგათი ვალი ჰქონდეს ვინმეს.

ისევ 21-საათიან სპეცოპერაციას დავუბრუნდები და კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ ჩემს აღშფოთებას – მთელი ამ დროის განმავლობაში ხელისუფლების არცერთმა წარმომადგენელმა განცხადების გაკეთება არ ისურვა. სპეცოპერაციის მიმდინარეობისას მხოლოდ ამერიკის ელჩმა გვანუგეშა. იან კელიმ თქვა, რომ მთავარი ხალხის უსაფრთხოების დაცვაა.

***– აშშ-ის ელჩმა თუ გვანუგეშა, ხელისუფლებას ვუნუგეშებივართ. კელია, ფაქტობრივად, ჩვენი ხელისუფალი.***

– ეგ თავისთავად, მაგრამ არც მისი განცხადების შემდეგ ამოიღეს ხმა მთავრობის წევრებმა. მხოლოდ სახალხო დამცველმა გადაწყვიტა განცხადების გაკეთება.

ისევ საიმიგრაციო პოლიტიკას დავუბრუნდები. რატომ არავინ ინტერესდება იმით, რომ ყოველ მეორე გაქირავებულ ბინაში ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსულები ცხოვრობენ. ხელისუფლება რომ ხარ, არ უნდა დაინტერესდე, რატომ აქვს ამ ხალხს საქართველოს მიმართ ასეთი ინტერესი? არ ინტერესდებიან და მერე რაღაც სერიოზული რომ მოხდება, სადღაც დაიმალებიან.

საქართველოს მოქალაქეობას ისეთ ხალხს ანიჭებენ, რომლებმაც ისიც კი არ იციან, რა ქვეყანაში ცხოვრობენ. იმ დღეს ჩემს პარიკმახერთან ვიყავი, ახლანდელები სტილისტს რომ ეძახიან. რიგში დგომამ მომიწია და 5 კაცი ვიყავით. აქედან 4 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო. ზოგს მოქალაქეობა ჰქონდა მიღებული, ზოგს – ბინადრობის მოწმობა. დრო მქონდა და რაღაცები გამოვკითხე. ამ ადამიანებმა ხეირიანად ისიც კი არ იცოდნენ, რა ქვეყანაში ცხოვრობდნენ. ერთმა ისიც კი მითხრა, რუსეთის ნაწილია საქართველოო.

ასე უპრაგონოდ რომ არიგებთ საქართველოს მოქალაქეობას, იმის სწავლა მაინც მოსთხოვეთ, რა ქვეყანაა საქართველო. როგორ შეიძლება, ამათგან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მოვითხოვო, როცა ერთი კინკილა საააკაშვილის ექსტრადირება ვერ გაუბედავთ.

# ვინ არის რუსეთის მოქალაქე ს.დ., რომელიც სპეცოპერაციის დაწყებამდე დააკავეს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

„2017 წლის 21 ნოემბერს დაკავებულ ს.დ-ს, უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებასა და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარებისთვის, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის ტერორისტული მიზნით, მართლსაწინააღმდეგო შეძენა- შენახვა-ტარებისთვის წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე და 323 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას 10-დან 17 წლამდე ვადით ითვალისწინებს. საქმეზე დამატებითი ინფორმაცია ხვალ გავრცელდება“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

წარდგენილ ბრალთან და მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით ბრალდებულის ადვოკატი განცხადებას არ აკეთებს.

# სერგო ვარდოსანიძე: „მოსაყდრე პატრიარქის შეუძლოდ ყოფნისას პატრიარქის მოვალეობას ასრულებს“

ნათია ხურცილავა



თეოლოგი **სერგო ვარდოსანიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განმარტავს, თუ რას ნიშნავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებულება პატრიარქის მოსაყდრედ დადგენასთან დაკავშირებით.

***– ბატონო სერგო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს აცნობა, რომ კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დადგენილია სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო მუჯირი. რას ნიშნავს მოსაყდრედ დადგენა?***

– მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, 1995 წლის მართვა-გამგეობის დებულების შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება, რომ მისი მოსაყდრე გამოაცხადოს, დანიშნოს. მოსაყდრეს პატრიარქი თუ რა უფლებების დელეგირებას მისცემს, სანამ ეს არ გაირკვევა, მანამდე ძნელია კონკრეტულად საუბარი, რა ფუნქციები ექნება მოსაყდრეს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში.

ზოგადად შემიძლია განვმარტო, რომ მოსაყდრე პატრიარქის შეუძლოდ ყოფნის დროს პატრიარქის მოვალეობას ასრულებს, ხოლო როდესაც პატრიარქი კარგად არის, ჯანმრთელად, მაშინ მისი დავალებით ასრულებს მისი ფუნქციების გარკვეულ ნაწილს. პატრიარქი თავისი ძალაუფლების გარკვეული ნაწილის დელეგირებას ახდენს მოსაყდრეზე და ის ასრულებს ამ მოვალეობას.

პატრიარქს აქვს სრული უფლება, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს, ვინ იქნება მოსაყდრე.

***– რაც შეეხება მემკვიდრეს?***

– ამის შესახებ არც მის უწმინდესობას უბრძანებია არაფერი და არც ჩვენი მხრიდან წინმსწრებად ამაზე საუბარი მგონია, რომ სწორი იყოს.

***– სოციალურ ქსელში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა პატრიარქის გადაწყვეტილებას, რომ პატრიარქმა მომავალი პატრიარქის კანდიდატურა დაასახელა. რამდენად შეიძლება, პატრიარქის გადაწყვეტილება მართლაც იყოს ერთგვარი მინიშნება?***

– რა თქმა უნდა, ცალსახად იმის თქმა, რომ მოსაყდრის გამორჩევით მისმა უწმინდესობამ მემკვიდრე დაასახელა, არ შეიძლება, იმიტომ რომ ღმერთმა მრავალი წლის სიცოცხლე მისცეს ჩვენს უწმინდესს, მაგრამ საპატრიარქო ტახტის დაქვრივების შემთხვევაში, როგორც იტყვიან, 100 წლის შემდეგ, მოსაყდრეს აქვს ვალდებულება, 40 დღის განმავლობაში მართოს ეკლესია და შეასრულოს პატრიარქის მოვალეობა. შემდეგ მოსაყდრე იწვევს სინოდის სხდომას და სინოდის სხდომაზე შეიძლება მისი კანდიდატურაც დადგეს განსახილველად.

***– პროცედურულად რომ აგვიხსნათ, მხოლოდ მოსაყდრის კანდიდატურა სახელდება პატრიარქობაზე?***

– არა. მღვდელმთავრებისგან სამი კანდიდატი სახელდება. ერთ-ერთი შეიძლება სწორედ მოსაყდრის კანდიდატურა იყოს. ამ სამ კანდიდატს შორის ვინც მეტ ხმას დააგროვებს, სწორედ ის გახდება პატრიარქი.

***– მოსაყდრის კანდიდატად დასახელება აუცილებელია?***

– არა, არ არის აუცილებელი. წმინდა სინოდის წევრთა უმრავლესობის ხმების მიხედვით ხდება გადაწყვეტილების მიღება, თუ ვინ იქნება მომავალი პატრიარქი.

***– ბატონო სერგო, ვინაიდან თქვენ კარგად იცნობთ ჩვენს ეკლესიას, მის წიაღს, რა შეგიძლიათ გვითხრათ მეუფე შიოსთან დაკავშირებით?***

– რა შემიძლია გითხრათ მეუფე შიოზე? ის არის ღირსეული მღვდელმთავარი. ის არის საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი. მე, ახლა რომ დავიწყო მეუფე შიოს შესახებ მსჯელობა განსაკუთრებული აღმატებულობით, ეს ჩემი მხრიდან ერთგვარი ფამილარობა იქნება. მისმა უწმინდესობამ მიიღო ეს გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებას უნდა მივესალმოთ. შემიძლია, მეუფე შიოს მივულოცო პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადება და ვუსურვო, ამ რთულ საქმეში, რომელსაც მას უწმინდესობა დაავალებს, იყოს პირუთვნელი, როგორც იტყვიან, იყოს შორსმჭვრეტელი ჩვენი დედა ეკლესიისა და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

***– ბევრი ამბობს, რომ ვინაიდან მეუფე შიო ახალგაზრდაა, 48 წლის არის, პატრიარქმა ესეც გაითვალისწინა...***

– მისი უწმინდესობა როდესაც პატრიარქი გახდა, 43 წლის იყო, მაგრამ ვერაფერს გეტყვით ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ერთი, რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ, დებულების თანახმად, პატრიარქობის კანდიდატი 70 წლის ზევით არ უნდა იყოს.

***– ბატონო სერგო, როგორ ფიქრობთ, რით შეიძლება იყოს ნაკარნახევი პატრიარქის ეს გადაწყვეტილება?***

– ეს არის ის კითხვა, რომელზეც მე დღეს პასუხი არ მაქვს. ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ პატრიარქს აქვს და შეგიძლიათ, ჰკითხოთ.

***– როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს? ფიქრობთ, რომ პატრიარქის ეს გადაწყვეტილება ეკლესიას უფრო დაამშვიდებს?***

– ყველაფერი დამოკიდებულია ერთ რამეზე: მისი უწმინდესობა საკვირაო ქადაგებაში ალბათ კონკრეტულად ისაუბრებს ამ გადაწყვეტილების მოტივზე და იმაზეც, თუ რა აქვს მომავალში განზრახული. ეს ერთი და მეორე, ასევე, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, საზოგადოება როგორ შეხვდება ამ გადაწყვეტილებას.

***– საზოგადოების რეაქციას მნიშვნელობა ექნება?***

– რასაკვირველია, გარკვეული მნიშვნელობა ექნება.

# დავით ნემსაძე: „ვფიქრობ, სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული პირები დივერსანტები იყვნენ“

გულიკო ბალაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ჯგუფის“ ხელმძღვანელი, უფლებადამცველი **დავით ნემსაძე** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ იმის გასარკვევად, თუ საიდან ჰქონდათ იარაღი ტერორისტებს, საჭიროა მივმართოთ ნაცმოძრაობასა და პირდაპირ გიორგი ბარამიძეს.

– გასარკვევია, გიორგი ბარამიძის მინისტრობის დროს, 2004 წლის შემდეგ, რამდენი იარაღი დაიკარგა, რამდენი კასრია აღმოუჩენელი, ვის რა იარაღი აქვს ჩამარხული და ვინ ვაჭრობს ქვეყნის შიგნით იარაღით, – განაცხადა დავით ნემსაძემ „ახალ თაობასთან“.

ამასთან „შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ჯგუფი“ ტელეკომპანია რუსთავი 2“-ს პროკურატურაში უჩივის.

– ტელეკომპანია რუსთავი 2“-მა ჩაიდინა სერიოზული ანტისახელმწიფოებრივი ქმედება და პირდაპირ ეთერში გადასცა სალიკვიდაციო ჯგუფების საცეცხლე პოზიციები, გააშუქა სპეცდანიშნულების რაზმების დისლოკაციის ადგილები, ჯავშანტექნიკის რაოდენობა, ხელი შეუწყო და ჯაშუშური ქმედება ჩაიდინა იმ ძალების მიმართ, რომლებიც ტერორისტულ სტრუქტურულ ერთეულებს ებრძოდნენ. ამაზე მეტი ღალატი რა უნდა იყოს. მოვითხოვ, ამ ყველაფერთან დაკავშირებით სახელმწიფო უწყებებმა კომენტარი გააკეთონ, – მიმართავს დავით ნემსაძე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს.

***– ბატონო დავით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მუშაობდა სპეციალური რადიოლოკაციური სისტემა და სიგნალების ჩამხშობი მოწყობილობა. ამიტომ იმაზე, რაც ტელევიზიებით გადაიცემოდა, არ შეიძლებოდა, წვდომა ჰქონოდათ ტერორისტებს.***

– ვინ რა გაავრცელა, არ ვიცი, მაგრამ დღეს ისეთი ელექტრონული მოწყობილობებია, შეუძლია, აბსოლუტური გარღვევა მოახდინოს. იმპულსს შეუძლია, სამჯერ შემოუაროს დედამიწას. როგორი სპეცმოწყობილობებიც უნდა იყოს, ვერავინ გახდება იმის გარანტი, თუ ძალები ასე სიღრმისეულად მომზადებული არიან გარკვეული ოპერაციის შესასრულებლად, მათ ექნებათ გარკვეული ტექნიკური აღჭურვილობა, რომლის ბადის დაფარვა შეიძლება არ მოხერხდეს.

ამ მოტივით ჟურნალისტების მოქმედება და გაუმართლებელი საქციელია სამშობლოს წინაშე. საცეცხლე წერტილების გადაღება და დისლოკაციის ადგილის პირდაპირ ეთერში ჩვენება საზიანოა ქვეყნის ინტერესისა და კონკრეტული ოპერაციისთვის.

ჟურნალისტს არ უნდა სჭირდებოდეს ამისკენ მოტივირებული მოწოდება. მას იმხელა განათლება უნდა ჰქონდეს, რომ ფრთხილად მოეკიდოს შეიარაღებულ ძალებს, სამხედრო ტექნიკის ადგილმდებარეობის გადაცემას, უნდა იცოდეს, რომ მის მიერ გადაცემული ინფორმაცია შეიძლება იყოს ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელიც ყველაზე მეტად ფეთქდება. თუ ჟურნალისტს ამის შეგნება არ აქვს, გამოდის, თქვენს სფეროში სერიოზული პრობლემებია. მე ვუსმინე საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტ გურამ როგავას, რომელმაც ჩაიდინა ყოვლად გაუმართლებელი ქმედება.

***– რა ჩაიდინა?***

– ადამიანი ამბობს, მე შევიპარე, ინფორმაცია გავიგე და გეუბნებით, რომ ესენი არიან ამ და იმ ეროვნებისო. ასე არ შეიძლება. გული მწყდება, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს ვუხდი ხელფასს. ეს არის საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება. ამას პლუს, ასახელებს კონკრეტულ ადგილს და ამბობს, რომ მან დაარღვია კანონი და შევიდა იმ ზოლის იქით, სადაც არ უნდა შესულიყო. ეს არ არის ექსკლუზივი. ეს არის სამშობლოს ექსკლუზიური ღალატი. გთხოვთ, ეს აუცილებლად დაბეჭდოთ. ამას თუ არ დაბეჭდავთ, თქვენთან ურთიერთობას შევწყვეტთ.

***– მეორე მხრივ, როდესაც სპეცოპერაცია იგეგმება, იქ სახელმწიფოს არ აქვს ვალდებულება, გააფრთხილოს ტელევიზიები, ჟურნალისტები, პირდაპირ ეთერში არ გადასცენ ისეთი ინფორმაცია, რამაც შეიძლება კონკრეტული სპეცოპერაციის წარმატებით დამთავრებას საფრთხე შეუქმნას?***



– დააკვირდით ამ ე.წ. ღალატებსა და მოწოდებულ კადრებს, საიდან იყო გადაღებული. სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები ეუბნებიან ტელევიზიებს, რომ არ განახორციელონ გადაღება. ყველა კადრი გადაღებული იყო მაღალი კორპუსის სახურავებიდან და საცხოვრებელი სახლების ფანჯრებიდან. ამ დროს სახელმწიფოს ყურადღება აქვს გადატანილი სპეცოპერაციის ჩატარებაზე.

ჯერჯერობით არ შევაფასებ ამ სპეცოპერაციას, თუმცა ძალიან ბევრი კითხვა მაქვს, მათ შორის, პროფესიული. ოპერაცია დიდხანს რომ გაგრძელდა, ამაში სახელმწიფოს ვერ დავადანაშაულებ იმ პატარა მოტივის გამო, რომ მან აირჩია ტაქტიკა, გადაეღალათ იქ მყოფი პირები და ეს შეიძლება გამართლებული ქმედება იყოს.



ასე რომ, ვინ შტურმით შევა და როგორ შევა, სხვა საკითხია, მაგრამ კითხვები არსებობს. სამწუხაროდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებში მინისტრების ცოლების მიყვანამ და ამგვარმა ქმედებებმა ავნო ამ სამსახურებს.

***– მაგალითად, ვინ მიიყვანეს?***

– თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის ლელა ჩიქოვანის 24 წლის ღლაპის მიყვანა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში და განყოფილების უფროსად დანიშვნა. ეს არის დამანგრეველი. ამ სამსახურთან ძალიან სერიოზული კითხვები არსებობს. ე.წ. ოპერაცია ძალიან სპონტანურად ჩატარდა.

***– პოლიცია 2 კვირის განმავლობაში უთვალთვალებდა და სპონტანურად რატომ ჩატარდა?***

– თუ პოლიცია მათ 2 კვირის განმავლობაში უთვალთვალებდა, იმდენი არ უნდა სცოდნოდა, რომ გამაგრებულ შენობაში წინააღმდეგობის გაწევის შანსი უფრო მეტი იყო და იმ ძალასთან მოლაპარაკებები არ უნდა დაეწყოთ? ისინი ქუჩაში არ უნდა გაენეიტრალებინათ? არსებობს შოკის საშუალებები, მიეპარები კაცს უკან, დაადებ და 3 საათი ვერ გაიქცევა. რად უნდოდა ამდენი აყალმაყალის ატეხა. ეს პროფესიონალიზმი არ არის. ოფიციალურად გაკეთდეს განცხადებები და შემდეგ შევაფასოთ.

***– იმდენი იარაღი როგორ შეიძლებოდა ჰქონოდათ ქალაქის ცენტრში უცხო ქვეყნის მოქალაქეებს?***

– ეს უნდა ჰკითხოთ ნაცმოძრაობასა და პირდაპირ გიორგი ბარამიძეს.

***– რატომ?***

– რას ჰქვია, რატომ? გასარკვევია, გიორგი ბარამიძის მინისტრობის დროს, 2004 წლის შემდეგ, რამდენი იარაღი დაიკარგა, რამდენი კასრია აღმოუჩენელი, ვის რა იარაღი აქვს ჩამარხული და ვინ ვაჭრობს ქვეყნის შიგნით იარაღით.

***– გინდათ თქვათ, რომ ნაცმოძრაობა იარაღით ვაჭრობდა და ვაჭრობს?***

– მე მინდა ვთქვა ის, რაც გააკეთა ამ პოლიტიკურმა ძალამ და როგორ არალეგალურად შეინახა ეს იარაღი. სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ, ქვეყნის კანონისა და კონსტიტუციის მიღმა და უგულებელყოფით შეაგროვონ საბრძოლო შეიარაღება, მოდით და თქვენ უარყავით, რომ ეს ძალა იმ ე.წ. არალეგალურ პირებთან გარიგებაში არ იყო და არ იარსებოს იმ ვერსიამ, რომ სწორედ ეს ძალა ამარაგებს დესტრუქციულ ძალებს შეიარაღებით.

თუმცა, მე უფრო მგონია, რომ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე განეიტრალებული ძალა უფრო დივერსიული იყო, ვიდრე ტერორისტული ორგანიზაციის წევრები.

***– რატომ ფიქრობთ, რომ განეიტრალებული პირები არ წარმოადგენდნენ ტერორისტულ ძალას?***

– ისინი ტრადიციული ტერორისტული ძალის წარმომადგენლები რომ ყოფილიყვნენ, რომლებსაც ამოცანად ჰქონდათ, უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე განეხორციელებინათ გარკვეული მიზანმიმართული ტერაქტი, მაშინვე მიმართავდნენ აფეთქებას, როცა შეამჩნევდნენ, რომ საბრძოლო ვითარებაში ალყაში იყვნენ მოქცეული და კორპუსს საერთოდ ჩაძირავდნენ. განეიტრალებული პირები წარმოადგენდნენ დივერსიულ ჯგუფს.

დიდი ეჭვი მაქვს, რომ ისინი იყვნენ ჩეჩნეთის პირველი ან მეორე ომის მონაწილეები და გამოცდილი სამხედროები. არ ვიცი, 2008 წლის კონფლიქტში საქართველოს ტერიტორიაზე რომელიმე კონფლიქტში მონაწილეობა მიღებული აქვთ თუ არა ან ვის მხარეზე იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ეს ადამიანები კარგად იცნობდნენ ტერიტორიას, ტაქტიკას. ვიღაცის სისუსტე არ ნიშნავს ვიღაცის სიძლიერეს. ამას ვამბობ იმ ძალების გასაგონად, ვინც ე.წ. შტურმს გეგმავდა და ოპერატიულ მოქმედებას სახავდა. როცა ადრე ჰქონდათ ინფორმაცია, რატომ დაიგეგმა ამ ვითარებაში მათი აყვანის ოპერაცია? ამაზე პასუხი უნდა აგონ მათ, ვინც დაგეგმა. როგორც წესი, ასე არ ხდება.

# „ჰერბიას“ რთული გზა საქართველოდან ევროპამდე

„კომპანიამ ძალიან რთული, ეკლიანი გზა გაიარა“, – განაცხადა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას „ჰერბიას“ დამფუძნებელმა და დირექტორმა **ზურაბ ჯანელიძემ.**

კომპანია, რომელიც 2006 წელს დაფუძნდა, სათბურში მოყვანილი მწვანილის და ბოსტნეულის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელია საქართველოში. უფრო დეტალურად „ჰერბიას“ ისტორიაზე, გამოწვევებსა და გეგმებზე „ბიზნესპრესნიუსი“ ზურაბ ჯანელიძეს ესაუბრა.

***– როგორ გაჩნდა კომპანიის შექმნის იდეა?***

– 2005-2006 წლებში რუსეთის ემბარგოს შედეგად 5 ათასზე მეტი ფერმერი, რომელიც პირველადი წარმოებით იყო დაკავებული და პროდუქცია პოსტსაბჭოურ ბაზარზე გაჰქონდა, სეზონის დასაწყისში, კერძოდ, სექტემბერ-ოქტომბერში გასაღების ბაზრის გარეშე დარჩა, რამაც ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიების საჭიროება გააჩინა. ორიენტირი რა თქმა უნდა ევროპულ ბაზარზე გვქონდა. ჩავატარეთ კვლევები, ვმონაწილეობდით სხვადასხვა ქვეყნის გამოფენებში და შედეგად დავინახეთ, რომ ევროპაში ქართულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნა იქნებოდა. ყოველივე ამის შემდეგ კი პროდუქციის მოპოვება, დაფასოება და საექსპორტოდ მომზადება დავიწყეთ.

***– რა სირთულეები შეხვდა კომპანიას?***

– კომპანიამ ძალიან რთული, ეკლიანი გზა გაიარა. სირთულეების გადალახვა და ყველაფრის გაკეთება ჩვენი ძალისხმევით მოხდა. თუმცა, დაუღალავი შრომის, მიზანდასახულობისა და კარგი მენეჯმენტის დამსახურებით აქამდე მოვედით. რაც შეეხება სირთულეებს, მათ საქმიანობის დასაწყისშივე გადავაწყდით. როგორც აღმოჩნდა ევროპულ ბაზარზე გასვლისას აუცილებელი იყო Gglobal ap-ის სტანდარტი, რაც იმ დროს საქართველოში არცერთ კომპანიაში არ იყო დანერგილი. შესაბამისად, იძულებული გავხდით კვლავ პოსტსაბჭოურ ბაზარს დავბრუნებოდით და იქ გაგვეტანა პროდუქცია ექსპორტზე. თუმცა, პარალელურად დავიწყეთ ახალი ტექნოლოგიების და სტანდარტების დანერგვა და 2011 წლის მარტში Gglobal ap-ის სერთიფიკატიც მივიღეთ. შედეგად კი, სერტიფიცირებული პროდუქციის ევროპაში გატანა მოვახერხეთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენს პროდუქციაზე საკმაოდ დიდი მოთხოვნა იყო სკანდინავიის ქვეყნებიდან, ბრიტანეთიდან, ჰოლანდიიდან, გერმანიიდან და ა.შ. თუმცა, გარკვეულ სირთულეები აქაც შეგხვდა. კერძოდ, აღნიშნული დიდი ბაზრების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უფრო დიდი წარმოება იყო საჭირო, რაც იმ ეტაპზე არ გვქონდა.

***– დღეს რომელ ქვეყნებშია „ჰერბია“ წარმოდგენილი და თუ გეგმავთ ახალი ბაზრების ათვისებას?***

– ამ ეტაპზე ევროპულ ბაზარზე „ჰერბიას“ პროდუქცია მხოლოდ ბულგარეთში გაგვაქვს, სადაც ჩვენი ნიშა უკვე დავიჭირეთ. გარდა ბულგარეთისა, ვმუშაობთ ახალი ბაზრების ათვისებაზეც.



თითქმის დასრულებულია სამუშაოები ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, პოლონეთთან და ვფიქრობთ, მალე ამ ქვეყნებშიც გავიტანთ პროდუქციას. ამასთან, ჩვენი და ჩვენი პარტნიორი 50 ფერმერის პროდუქცია ქართულ ბაზარზეც დამკვიდრდა. სადაც ამ დროისთვის 500 ათასამდე მომხმარებელი გვყავს.

***– რა პროდუქციას სთავაზობს „ჰერბია“ მომხმარებელს?***

– გარდა იმისა, რომ ჩვენს კომპანიას წყალტუბოში 3 ჰექტარზეა გაშენებული საკუთარი სათბურები აქვს, 50-ზე მეტი დაინტერესებული პარტნიორი ფერმერიც გვყავს, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციაც შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, მომხმარებელს, ჯამში დაახლოებით, 14 დასახელების, როგორც ტრადიციულ ისე არატრადიციული სახეობის პროდუქციას ვთავაზობთ. მათ შორის: იტალიური ოხრახუში, მწვანე რეჰანი, სალათის მიქსი, პიტნა, კიტრი, პომიდორი, რუკოლა, კარტოფილი და ა.შ.

***– როგორია კომპანიის სამომავლო გეგმები?***

– გარდა იმისა, რომ ვფიქრობთ პროდუქციის ახალ ბაზრებზე გატანას, ვმუშაობთ საკუთარი პროდუქციის მოცულობის გაზრდაზე. ამასთან, ვაპირებთ ცენტრის აშენებას, სადაც ჩვენს პარტნიორ ფერმერებს უფასო სწავლება ჩაუტარდებათ. თუმცა, ცენტრი მსგავსი პროდუქციის წარმოებით დაინტერესებულ სხვა ფერმერებსაც მოემსახურება.

***– ბიზნესი ხშირად საუბრობს კადრების არაპროფესიონალიზმზე... თქვენ რამდენად გადააწყდით ამ პრობლემას?***

– ეს პრობლემა ნამდვილად არსებობს და ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ზუსტად ამ პრობლემიდან გამომდინარე მოგვიწია და იძულებული ვიყავით თავად გავმხდარიყავით აგრონომები თუ სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები.

***– რა სირთულეებია დღეს ბაზარზე?***

– იმისთვის, რომ ადგილობრივმა პროდუქციამ იმპორტირებული საქონელი ჩაანაცვლოს გარკვეული წახალისებაა საჭირო. უნდა მოხდეს სათბურებში ქართული პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების ენერგომატარებლების (გაზი, წყალი, დენი) რაღაც პროცენტით სუბსიდირება. რაც ხელს შეუწყობს მეწარმეებს, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ფასს კონკურენტუნარიანს გახდის, ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს დაახლოებით 100 მილიონი დოლარის იმპორტირებული პროდუქცია ჩავანაცვლოთ.

## გიორგი კაკაურიძე: „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი ხარჯები ლარზე ზეწოლას არ გამოიწვევს“

– 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული დამატებითი ხარჯები ლარზე რაიმე სახის ზეწოლას არ გამოიწვევს.

ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძემ განაცხადა.



– ამ თანხების უდიდესი ნაწილი მიმდინარე წელს რეალურად არ დაიხარჯება. ეს უწყებებისთვის იქნება გამოყოფილი და დაიწყება სატენდერო პროცედურები. ამ პროექტებს ძირითადად სახელმწიფო კომპანიები ახორციელებენ. თანხა მათ ანგარიშებზე დარჩება და ფულის დახარჯვა არ მოხდება, – განაცხადა გიორგი კაკაურიძემ.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები იზრდება – პარლამენტში ინიცირებული საბიუჯეტო ცვლილებებით, 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 11.487.2 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც დამტკიცებულ მოცულობას 30.0 მლნ ლარით აღემატება, მათ შორის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში ზრდა 35.0 მლნ ლარს შეადგენს.

პარლამენტში შემდეგი ცვლილებებია წარდგენილი: შემოსავლები – 9.696.2 მლნ ლარი (დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 206.7 მლნ ლარით); საგადასახადო შემოსავლები – 8.980.0 მლნ ლარი, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 160 მლნ ლარით, მათ შორის: საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი არ იცვლება და განსაზღვრულია 2.570.0 მლნ ლარით. მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 740.0 მლნ ლარით, რაც 59 მლნ ლარით აღემატება 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმას.

– მოგების გადასახადის მეტობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გასულ წელს კომპანიების მოგებამ გადააჭარბა პროგნოზირებულ მაჩვენებელს და, შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 აპრილამდე კომპანიებმა დაზუსტებული დეკლარაციების შესაბამისად გადაიხადეს მოგების გადასახადი, – განმარტავს მთავრობა.

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი 4.020.0 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 241 მლნ ლარით აღემატება 2017 წლის პირველად გეგმას.

მთავრობის ინფორმაციით, დღგ-ს გადაჭარბება დაკავშირებულია დაგეგმილზე მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან და ადმინისტრირების გაუმჯობესებასთან.

## იმ კორპუსის აღდგენითი სამუშაოები, სადაც სპეცოპერაცია მიმდინარეობდა, უახლოეს დღეებში დაიწყება

თბილისის მერ კახი კალაძის განცხადებით, იმ კორპუსის აღდგენითი სამუშაოები, სადაც სპეცოპერაცია მიმდინარეობდა, უახლოეს დღეებში დაიწყება.



ამის შესახებ კალაძემ ჟურნალისტებს დაზარალებულებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა. როგორც კახა კალაძე ამბობს, უკვე დაწყებულია მუშაობა და ლაბორატორია კორპუსის მდგრადობას სწავლობს.

– 12-მა ოჯახმა მიმართა ისნის გამგეობას და მათ უზრუნველვყოფთ დროებითი საცხოვრებელი ფართებით. რაც შეეხება კორპუსის მდგრადობას, ლაბორატორიას დაწყებული აქვს მუშაობა და უახლოეს მომავალში გვეცოდინება პასუხი. კორპუსის აღდგენითი სამუშაოებისთვის ჩვენ მზად ვართ. პრემიერ-მინისტრის დავალებაც არის რომ მოწესრიგებული იყოს ყველაფერი და უახლოეს დღეებში დავიწყებთ მუშაობას. ჩატარდება ინვენტარიზაციის სამუშაოები და იქ მცხოვრებ ადამიანებს, ვისაც რა დაუზიანდა, ყველაფერი იქნება აღდგენილი და უზრუნველყოფილი ჩვენი მხრიდან. რაც შეეხება კორპუსის ავარიულობას, ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მაქვს. არ იყო ეს კორპუსი ავარიული, დაზიანებებს სწავლობს ლაბორატორია და თუ საცხოვრისისთვის შეუსაბამო იქნება, რა თქმა უნდა, იქ ეს ადამიანები ვერ გააგრძელებენ ცხოვრებას, – განაცხადა კახა კალაძემ.

## იანვარ-აგვისტოში თამბაქოს მოხმარება საქართველოში 900 მილიონი ღერით შემცირდა



მიმდინარე წელს, აქციზის განაკვეთების ცვლილების შედეგად, თამბაქოს მოხმარება საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა.

ამის შესახებ 2017 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებშია აღნიშნული.

ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტის თანახმად, მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თამბაქოს მოხმარება ქვეყანაში 900 მილიონი ღერით არის შემცირებული, რაც მოხმარების 15.5%-იანი შემცირებაა.

კერძოდ, 2017 წლის საანგარიშო პერიოდში სულ რეალიზებული იყო 5.8 მილიარდი ღერი სიგარეტი, მაშინ როცა გასული წლის იანვარ-აგვისტოში რეალიზებული იყო 4.9 მილიარდი ღერი სიგარეტი.

## კვებით უზრუნველყოფის მომსახურების პროვაიდერთა მოწვევა

BP Exploration (Caspian Sea) Ltd - საქართველო იწვევს შესაფერის კომპანიებს ინტერესის გამოსახატად BP-ის თბილისის ოფისის კვებით უზრუნველყოფის მომსახურების გაწევაში. ქვემოთ მოცემულია ფასების შეთავაზების ელემენტების ზოგადი მიმოხილვა:

- კვებით უზრუნველყოფა – ცხელი ლანჩი (200-250 პორცია დღეში) და შეფუთული ლანჩი (10-15 პორცია დღეში, სადამოობით)
- წყლის მოწოდების უზრუნველყოფა
- მესამე მხარეებისგან შესყიდვა, მაგ. დანა-ჩანგლის, თეფშების და სამზარეულო ტექნიკისა, ოფისის სასადილოსთვის
- სასმელის პუნქტებით უზრუნველყოფა დაახლოებით 250 თანამშრომელზე, ჩაის ჩამომსხმელი ქალბატონების მიერ მომსახურების გაწევის ჩათვლით
- BP-ის ოფისისთვის საკვები უნდა მომზადდეს ფასის წარმდგენის შენობაში და მოხდეს ტრანსპორტირება იზოლირებული სატრანსპორტო საშუალებით, ჰიგიენის წესების და შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოგვაწოდონ საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი შემდეგ ელ-ფოსტაზე: lomam0@bp.com ან კომპანიის ოფისში მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის 24, მაკა ლომაძეს, PSCM კატეგორიის სპეციალისტს.

წარდგენის ვადა: 2017 წლის 1 დეკემბერი.

# პირველად საქართველოში, თიბისი ბანკი ფერმერებს სტარტაპ-აგროსესხს სთავაზობს












თიბისი ბანკისთვის სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სწორედ ამიტომ, ბანკი მუდმივად ცდილობს, აგრო-სექტორით დაინტერესებულ პირებს ინოვაციური პროდუქტები შესთავაზოს, შეღავათიანი პირობებით. გასულ წელს თიბისი ბანკმა ფერმერებს აგროსაინვესტიციო სესხი შესთავაზა მრავალწლიანი ბაღების გასაშენებლად. ცოტა ხნის წინ კი პროდუქტს კიდევ ერთი კომპონენტი დაემატა და ფერმერებს აგროსაინვესტიციო სესხით სარგებლობა უკვე ვაზის გასაშენებლადაც შეუძლიათ.

თიბისი ბანკი ფერმერებისთვის კიდევ ერთ სიახლეს ნერგავს. პირველად საქართველოში, სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ახალი პროდუქტით – სტარტაპ-აგრო სესხით მაღალპროდუქტიული პირუტყვის ფერმების, სასათბურე, საკალმახე, სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობების მოსაწყობად.

ახალი პროდუქტების შესახებ დეტალურად საუბრობს თიბისი ბანკის აგრობიზნესის ხელმძღვანელი **ვეფხვია ლომინაშვილი**.

***– თიბისი ბანკის პროდუქტს, აგროსაინვესტიციო სესხს კიდევ ერთი კომპონენტი დაემატა და ფერმერები უკვე ვაზის გაშენებას აგროსაინვესტიციო სესხის ფარგლებში შეძლებენ. უფრო დეტალურად რომ გვითხრათ, რა შეღავათებით ისარგებლებენ ფერმერები და კონკრეტულად ვაზის რომელ ჯიშებზე გავრცელდება ეს პროდუქტი?***

– თიბისი ბანკის აგროსაინვესტიციო სესხი არის პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია სოფლის მეურნეობაში ჩართულ იმ პირებისთვის, რომლებსაც სურთ, გააშენონ ან განაახლონ მრავალწლიანი ნარგავების ბაღები და, ამავდროულად, ისარგებლონ შეღავათიანი აგროკრედიტით. თავისი შინაარსით, პროდუქტი სტარტაპ სესხია, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენილ პროექტზე გათვლები კეთდება არა მიმდინარე, არამედ საპროგნოზო შემოსავლებზე დაყრდნობით, გრძელვადიანი საშეღავათო პერიოდის გათვალისწინებით. ფერმერისთვის ეს, ბუნებრივია, ზრდის ფულადსაკრედიტო რესურსზე ხელმისაწვდომობას და აძლევს პროექტის განხორციელების შესაძლებლობას.

თიბისი ბანკმა აგროსაინვესტიციო სესხი გასული წლის შემოდგომაზე შესთავაზა მომხმარებელს თხილის, კაკლის, ვაშლის, ნუშის, მაყვლის, მოცვისა და კივის ბაღების გაშენების დასაფინანსებლად. თითოეული სესხი რამდენიმეწლიანი საშეღავათო პერიოდით, შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში გაიცა. მიმდინარე წელს დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვიტეთ, ზემოთხსენებული კულტურებისთვის დაგვემატებინა ვაზის გარკვეული ჯიშები შერჩეული რეგიონებისათვის. კახეთისთვის ესაა მიკროზონების საფერავი, ხიხვი და ქისი, შიდა ქართლისათვის – გორული მწვანე, ჩინური, შავკაპიტო, თავკვერი, თეთრი ბუდეშური, იმერეთისათვის – ოცხანური საფერე, კრახუნა, ცოლიკაური, სამეგრელოსათვის – ოჯალეში, გურია-აჭარისათვის – ჩხავერი, ხოლო რაჭისათვის ალექსანდროული და მუჯურეთული.

***– რატომ დაემატა აგროსაინვესტიციო სესხს ეს კომპონენტი და რამდენად დიდია ვაზის გაშენებაზე მოთხოვნა მომხმარებლის მხრიდან?***

– სოფლის მეურნეობის სწორი და პასუხისმგებლიანი ფინანსირება თიბისი ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩვენ ვართ ამ სექტორის მუდმივ კვლევაში და ვეძებთ იმ დარგებს, რომლებსაც კარგი სამრეწველო-ეკონომიკური პოტენციალი გააჩნიათ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

მიგვაჩნია, რომ დღეს მევენახეობა საქართველოში აღმავლობის გზაზე დგას. ჩვენ გვაქვს უნიკალური ვაზის ჯიშები, რომელთაგანაც დაყენებული ხარისხიანი ღვინოები სულ უფრო მეტი მოწონებით სარგებლობს და მოთხოვნა მათზე წლიდან წლამდე იზრდება. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით გადაწყვიტეთ აგროსაინვესტიციო სესხისთვის ამ კომპონენტის დამატება.

***– რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ფერმერი ვაზის გასაშენებლად აგროსაინვესტიციო სესხით სარგებლობისას?***

– ისევე, როგორც სხვა მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში, აქაც სამი ძირითადი მოთხოვნა გვაქვს: პირველი და მთავარი ესაა მრავალწლიანი ნარგავების გაშენება-მოვლის გამოცდილება; მეორე – მიწა, რომელზეც ინვესტიციების განხორციელება უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში და მესამე, კარგი საკრედიტო ისტორია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

***– სოფლის მეურნეობის მიმართულებით თიბისი ბანკს კიდევ ერთი სიახლე აქვს. პირველად საქართველოში, თიბისი ბანკმა აგროსექტორით დაინტერესებულ ფერმერებს ახალი პროდუქტი შესთავაზა – სტარტაპ-აგროსესხი. რომელ სფეროებს დააფინანსებს სტარტაპ-აგროსესხი და ვის შეუძლია ამ პროდუქტით სარგებლობა?***

– სწორად აღნიშნეთ, როცა ახსენეთ „პირველად საქართველოში“. ისევე, როგორც აგროსაინვესტიციო სესხის შემთხვევაში, თიბისი ბანკი ამჯერადაც პირველი ბანკია ბაზარზე, რომელიც ფერმერებს შესაძლებლობას აძლევს, სტარტაპ-აგრო სესხის ფარგლებში დაიწყონ და განავითარონ სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა მაღალპროდუქტიული პირუტყვისა და მეფრინველეობის ფერმები, მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობები, საკალმახე მეურნეობები, პროდუქციის შესანახი სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები.

ამ პროდუქტით სარგებლობა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ დღეს საკმარისი ფინანსური უზრუნველყოფა იმისათვის, რომ შეძლონ აღებული კრედიტის გადახდა.

ჩვენ გამოვდივართ დაკრედიტების სტანდარტული მიდგომიდან და სტარტაპ-აგრო სესხის პროექტის ფარგლებში ვეყრდნობით მსესხებლის არა მიმდინარე, არამედ იმ საპროგნოზო შემოსავლებს, რომელსაც მეურნეობა მიიღებს პროექტის განხორციელების შემთხვევაში. ამ მიდგომით ჩვენ ვზრდით ხელმისაწვდომობას ფულადსაკრედიტო რესურსზე იმ პირთათვის, რომელთაც დღეს ამის საშუალება არ აქვთ.

***– როგორი პირობებით გაიცემა სტარტაპ-აგროსესხი და რა შეღავათებით ისარგებლებენ ფერმერები? რა არის ის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი, რა რაოდენობის ფინანსური მხარდაჭერის მიღებასაც შეძლებენ ფერმერები.***

– სტარტაპ-აგრო სესხის მინიმალური მოცულობა 20.000 ლარია, ხოლო მაქსიმალური – 500.000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. სესხის აღება შესაძლებელია როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში. ფინანსდება როგორც პროექტის განსახორციელებლად საჭირო ძირითადი, ასევე საბრუნავი საშუალებები. სესხის მაქსიმალური ვადა შესაძლებელია იყოს 7 წელი.

ისევე, როგორც აგროსაინვესტიციო სესხის შემთხვევაში, აქაც დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ გრძელვადიან საშეღავათო პერიოდს, რომელიც სხვადასხვა დარგისთვის განსხვავებულია და განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა პერიოდია საჭირო იმისათვის, რომ განხორციელებულმა ინვესტიციებმა ეკონომიკური სარგებლის მოტანა დაიწყოს. საშეღავათო პერიოდის განმავლობაში მსესხებელი არ ახორციელებს აღებული სესხის ძირი თანხების დაფარვას.

გარდა ამისა, ძირითადი საშუალებების მიზნობრიობით აღებული კრედიტები შესაძლებელია შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაიცეს და მსესხებელმა მიიღოს პროცენტის თანადაფინანსება სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო საინტერესოს ხდის პროდუქტს.

***– არსებობს თუ არა რაიმე ტიპის მოთხოვნები/შეზღუდვები პროდუქტით სარგებლობისას?***

– ამ პროექტის ფარგლებში, ბუნებრივია, გვაქვს ის მინიმალური მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია სასესხო განაცხადის განსახილველად. აუცილებელი პირობაა, რომ მსესხებელს გააჩნდეს გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება სოფლის მეურნეობის იმ კონკრეტულ დარგში, რომელ დარგშიც აპირებს ინვესტიციების განხორციელებას. ამავდროულად, ვითხოვთ მსესხებლის მხრიდან პროექტში თანამონაწილეობას, რომელიც არ უნდა იყოს პროექტის ჯამური ღირებულების 40%-ზე ნაკლები. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსესხებლის თანამონაწილეობა მხოლოდ ფულადი სახსრები შეიძლება იყოს. თანამონაწილეობის თანხაში ვითვალისწინებთ ფაქტობრივად ყველა იმ აქტივს, რომლებიც კლიენტის საკუთრებაშია და შეძენილია განსახილველი პროექტის განხორციელებისათვის. თანამონაწილეობაში ასევე გაითვალისწინება მოპოვებული გრანტის თანხაც. მიწა, რომელზეც ინვესტიციების განხორციელება იგეგმება, ასევე მსესხებლის საკუთრებაში უნდა იყოს.

ეს არის ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებსაც განაცხადის განხილვის დროს ბიზნესგეგმასთან ერთად ყურადღებას ვაქცევთ.

***– სტარტაპ-აგროსესხი თავისი პირობებით ძალიან ჰგავს აგროსაინვესტიციო სესხს. რით განსხვავდება ეს ორი პროდუქტი ერთმანეთისგან?***

– შინაარსობრივად ეს ორი პროდუქტი მსგავსია, თუმცა აგროსაინვესტიციო სესხი განკუთვნილია კონკრეტულად მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისთვის, ხოლო სტარტაპ-აგრო სესხი მოიცავს ყველა იმ დარგს, რომლებზეც უკვე გესაუბრეთ, გარდა მრავალწლიანი კულტურებისა.

***– როგორია თქვენი მოლოდინები ახალი პროდუქტების მიმართ და რა გეგმები გაქვთ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მიმართულებით უახლოეს მომავალში?***

– გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ სტარტაპ-სესხების მიმართ მოთხოვნა დიდია. ამის მაგალითია აგროსაინვესტიციო სესხი, რომლის ფარგლებშიც, რამდენიმე ათეული ბაღის გაშენება დააფინანსა თიბისი ბანკმა. შესაბამისად, მოლოდინი გვაქვს, რომ სტარტაპ-აგროსესხის პროექტი ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც დღეს აგრო-საინვესტიციო სესხია.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას და ფერმერებს შევთავაზოთ ისეთი პროდუქტები, რომლებიც მათ მეურნეობებს რეალური განვითარების საშუალებას მისცემს.

ჩვენ ვაგრძელებთ კვლევებს ამ მიმართულებით და მომავალში არაერთ საინტერესო სიახლეს შევთავაზებთ ჩვენს მომხმარებლებს.

# ელენე ხოშტარია: „სპეცოპერაციის თემაზე აბსოლუტურად დაუშვებელია ნიშნის მოგებით შეფასებები“



– სპეცოპერაციის თემაზე აბსოლუტურად დაუშვებელია ნიშნის მოგებით შეფასებები ან პოლიტიკური სპეკულაციები.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა ელენე ხოშტარიამ განაცხადა.

მისივე თქმით, ხელისუფლებამაც თავი უნდა შეიკავოს, ოპოზიციაც ძალიან პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ საკითხს და ქულების ჩაწერაზე არ უნდა იყოს არავინ ორიენტირებული.

– კითხვები რაც არის, ძალიან ლეგიტიმური და საჭირო კითხვებია, რაზეც პასუხი უნდა გაეცეს – რა ტიპის საფრთხესთან გვაქვს საქმე, რა ტიპის ჯგუფი იყო, როგორ შემოვიდა ეს ჯგუფი და სამომავლოდ რამე საფრთხე ხომ არ არის. ჯერ ფაქტები არ ვიცით, რომ გავაკეთოთ სათანადო შეფასებები. რაღაც ნაწილი საქმის შეიძლება ვერ გახდეს საჯარო, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მაგრამ ამ დონეზე არაფრის ცოდნა არ არის დამაკმაყოფილებელი არც საზოგადოებისთვის და არც ქვეყნისთვის, – განაცხადა „ევროპული საქართველოს“ წევრმა ელენე ხოშტარიამ.

დეპუტატის კომენტარს პარტია „ევროპული საქართველო“ ავრცელებს.

# ავარია ახმეტის რაიონში – დაშავებულია ერთი პირი

ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში მსუბუქი ავტომობილი ჯებირს დაეჯახა და რამდენჯერმე ამოტრიალდა. შემთხვევის შედეგად დაშავდა ერთი პირი, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება.

# ოკუპირებულ ტერიტორიაზე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დაარბიეს



ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. პოლიციამ 22 წლის ახალგაზრდა დააკავა, რომელიც ცხინვალის მცხოვრებია და ბრალად ეკლესიის დარბევა ედება. შემთხვევა 19-20 ნოემბერს მოხდა ზღუდერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში.

ე.წ. პოლიციის წარმომადგენლების თქმით, ეკლესიის დარბევის შესახებ ინფორმაცია მათ ტაძრის მოძღვარმა მიაწოდა. სასულიერო პირის განცხადებით, უცნობმა პირმა ეკლესია შეურაცხყო, დაამტვრია ხატები და დაზიანება მიაყენა საკურთხეველს.

საქმეში ბრალდებული დანაშაულს აღიარებს.

# გიორგი გახარია: „ძალიან დიდი გეგმები გვაქვს, კიდევ უფრო ახლოს მივიდეთ თითოეულ მოქალაქესთან“



– თქვენთან ერთად ძალიან დიდი გეგმები გვაქვს, ძალიან სერიოზული გარდაქმნები, რამეთუ გავხდეთ კიდევ უფრო ეფექტურები და კიდევ უფრო ახლოს მივიდეთ თითოეულ ჩვენს მოქალაქესთან.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სადაც მან საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი წარადგინა და შეკრებილ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს მიმართა.

– თქვენ ხართ სახე – შინაგან საქმეთა სამინისტროს სახე, რამეთუ თქვენ ზრუნავთ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ყოველდღიურ რეჟიმში, მაგრამ ეს სახე უნდა იყოს თანამედროვე, რეფორმებზე ორიენტირებული და რა თქმა უნდა, ეს სახე უნდა იყოს პრევენციაზე ორიენტირებული პოლიციის სახე, ამიტომ თქვენთან ერთად ჩვენ მომავალში ძალიან დიდი გეგმები გვაქვს, ძალიან სერიოზული გარდაქმნები, რამეთუ გავხდეთ კიდევ უფრო ეფექტურები და კიდევ უფრო ახლოს მივიდეთ თითოეულ ჩვენს მოქალაქესთან.

იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამ მიზანს მივაღწევთ უმოკლეს ვადებში, გააზრებულად, შინაარსობრივად და ეს სახე კიდევ უფრო მისაღები და მეგობრული გახდება თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის. კოლეგებო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მიღწევები, ასევე გეგმების შესრულება კონკრეტულ ადამიანებთანაა დაკავშირებული. იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული თქვენგანი იქნება ამ დიდი გამარჯვებების ნაწილი, რომელიც ჩვენ წინ გველის, – განაცხადა გახარიამ.

# ვახტანგ ქუთათელაძე: „საზოგადოებამ არც უნდა იცოდეს, რა ხდებოდა კულისებს მიღმა“



საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის ვახტანგ ქუთათელაძის შეფასებით, გარედან შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ სპეცოპერაციის ჩატარების დროს არაკოორდინირებული მუშაობა იყო ოპერაციის ჩამტარებლებსა და საზოგადოებას შორის.

როგორც ქუთათელაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, კიდევ ერთი პრობლემა ის იყო, რომ არ არსებობდა შტაბი, რომელიც მასმედიის წარმომადგენლებს ინფორმაციას მიაწვდიდა.

ქუთათელაძის შეფასებით, „ყველაფერი რაღაცნაირად მიშვებული იყო, თითქოს არათუ სპეცოპერაცია ტარდებოდა, არამედ სანახაობა გადიოდა პირდაპირ ეთერში“.

– რაც შეეხება სპეცოპერაციას, მე არ მაქვს ის ინფორმაცია, რაც ოპერაციის ჩამტარებლებს ჰქონდათ. კერძოდ, არ ვიცი რამდენად იმუშავა ოპერატიულმა სამსახურებმა. რაც შეეხება ხანგრძლივობას, ამას განსაზღვრავს ის ოპერატიული სიტუაცია, რაც არის ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში. მე არ ვიცი რა ოპერატიული სიტუაცია იყო, შესაძლოა იქ იყო საშიშროება მძევლების აყვანის და ა.შ. გარედან შეხედვით მე შემიძლია ვთქვა, რომ იყო არაკოორდინირებული მუშაობა ოპერაციის ჩამტარებლებსა და საზოგადოებას შორის. საზოგადოებაში ვგულისხმობ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. რაღაცნაირად მიშვებული იყო ყველაფერი, თითქოს კონტრტერორისტული ოპერაცია კი არ ტარდებოდა, არამედ სანახაობას ვუყურებდით მთელი დღის განმავლობაში ეთერში. ამ კუთხით არ იყო კოორდინაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ არის ორგანო, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს. ჩვენ ყველა პრობლემას ვწყვეტთ იმის შემდეგ, როცა ის წარმოიშობა. ეს ასე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ყველაფერს უნდა დაგეგმვა, წინასწარ მუშაობა და ყველა ორგანომ, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებამ უნდა იცოდეს რა დოზით, როგორ და რანაირად მიაწოდოს ინფორმაცია. არ იყო შექმნილი შტაბი, ყოველ შემთხვევაში ეს არ ჩანდა. არ იყო შტაბის წარმომადგენელი, რომელიც თუნდაც ცოტა ინფორმაციას მისცემდა საზოგადოებას. ეს არის ის, რაც პირველი შეხედულებით ჩანს. რაც შეეხება ოპერაციის ხანგრძლივობას, მათ შეეძლოთ ოპერაცია გაგრძელებულიყო ორი დღით. ჩვენ არ ვიცით რა ხდებოდა კულისებს მიღმა. ამ შემთხვევაში საზოგადოებამ არც უნდა იცოდეს რა ხდებოდა კულისებს მიღმა, მაგრამ ოპერაციის ჩამტარებელი ვალდებულია საზოგადოება ჩააყენოს იმ დონის საქმის კურსში, რაც აუცილებელია, რომ არ დაიწყოს პანიკა და ხალხს არ გაუჩნდეს დაუცველობის განცდა, – განაცხადა ქუთათელაძემ.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებას იმის შესახებ, რომ გამოძიება მიმდინარეობს სხვა ქვეყნებშიც და საქმე გვაქვს საერთაშორისო ტერორიზმის ფაქტთან, ქუთათელაძის თქმით, „ეს იმას ნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს აქვს საკმარისი საფუძველი, რომ ეს განცხადება გაეკეთებინა“.

– ვინაიდან ის ამას აცხადებს, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ამ ტერორისტების საქმიანობა დაკავშირებული იყო უცხო ქვეყნის მცხოვრებთან, ან ისინი წარმოადგენდნენ უცხო ქვეყნის მცხოვრებს. ამიტომ რამდენიმე ქვეყანა იყო ჩართული. სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ, – განაცხადა ქუთათელაძემ

# მუსტაფა ემრე ჩაბუქს სამთვიანი საექსტრადიციო პატიმრობა 24 თებერვლამდე გაუხანგრძლივდა



თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და დემირელის სახელობის კოლეჯის მენეჯერ მუსტაფა ემრე ჩაბუქს სამთვიანი საექსტრადიციო პატიმრობა 24 თებერვლამდე გაუხანგრძლივა.

მოსამართლემ სარეზოლუციო ნაწილის წარდგენისას განმარტა, რომ დაცვის მხრიდან არ ყოფილა წარმოდგენილი ახალი გარემოება და კვლავ სახეზეა ის საფრთხეები, რომელზე დაყრდნობითაც მუსტაფა ემრე ჩაბუქს თავდაპირველად შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა.

როგორც ადვოკატებმა პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადეს, ისინი მოსამართლის გუშინდელ გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

გუშინდელ პროცესზე ბრალდების მხარემ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, რათა მუსტაფა ემრე ჩაბუქის სამთვიანი წინასწარი საექსტრადიციო პატიმრობა გახანგრძლივებულიყო. პროკურატურის პოზიციას არ დაეთანხმნენ ადვოკატები და მათ სასამართლოს შესთავაზეს გირაო 10.000 ლარის ოდენობით.

დემირელის სახელობის სკოლალიცეუმის მენეჯერი მუსტაფა ემრე ჩაბუქი თურქეთის მხარის მოთხოვნით საქართველოში 24 მაისს დააკავეს. მას თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასაექსტრადიციო სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. 7 ივლისს კი ცნობილი გახდა, რომ ჩაბუქს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვა. დაცვის მხარემ ჩაბუქისა და მისი ოჯახისთვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დევნილის სტატუსზე უარის თქმა გააპროტესტა, თუმცა სასამართლომ დევნილთა სამინისტროს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

# სპეცოპერაცია მცხეთაში – მძევლად ხელში ჩაგდების ბრალდებით 4 პირი დააკავეს

მცხეთაში მძევლად ხელში ჩაგდების ბრალდებით ოთხი პირი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

– შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მთავარ პროკურატურასთან თანამშრომლობით, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ოთხი პირი: 1991 წელს დაბადებული ბ.ბ., 1993 წელს დაბადებული ზ.მ., 1985 წელს დაბადებული თ.შ. და 1989 წელს დაბადებული თ.რ., მძევლად ხელში ჩაგდების ბრალდებით მცხეთაში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 22 ნოემბერს თბილისში, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, 1984 წელს დაბადებულ ვ.მ.-ს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს, ხელფეხშეკრული ავტომანქანის საბარგულში მოათავსეს და გათავისუფლების სანაცვლოდ მისი ოჯახის წევრებს 7.000 ლარი მოსთხოვეს.

სამართალდამცველებმა ოთხივე ბრალდებული ცხელ კვალზე მცხეთის შესასვლელში დააკავეს. პოლიციამ ვ. მ. უვნებლად გაათავისუფლა.

გამოძიება მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით), – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



# „ისლამური სახელმწიფოს“ ჯგუფები სირიისა და ერაყის ფარგლებს გარეთ ძლიერდებიან

## ჩეჩნეთის პროკურატურამ კიდევ ერთხელ მოითხოვა ისლამისტების პროპაგანდისტული საიტების დაბლოკვა

მარიამ მჭედლიშვილი

ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოსაგან“ სირიისა და ერაყის სრულ გათავისუფლებამდე ცოტა ხანი დარჩა. ბოლოდროინდელი ბრძოლების შედეგად ბევრი ტერორისტი განადგურდა ან ტყვედ ჩავარდა. მათი კონცენტრაცია და რიგების შევსება სხვაგან შეინიშნება.

ახლო აღმოსავლეთში ტერორიზმის დამარცხებას მოკლე ხანში ვარაუდობენ აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტები.

ახალი ინფორმაციით, ვაშინგტონი სირიიდან თავის ჯარს „დაიშის“ განადგურების შემდეგაც არ გამოიყვანს. ამის მიზეზად სახელდება სირიის პრეზიდენტის მოსალოდნელი ნაბიჯები. ბაშარ ასადს შეუძლია ჩრდილოეთში ტერიტორიის დაპყრობა. აშშ სირიის ჩრდილოეთიდან არ გამოვა და ხელს შეუწყობს ისეთი ადგილობრივი ხელისუფლების ჩამოყალიბებას, რომელიც არ იქნება დამოკიდებული ასადზე.

ვაშინგტონში აცხადებენ, რომ სირიაში აშშ-ის ყოფნა აუცილებელია ისლამური სახელმწიფოს ნარჩენების ლიკვიდაციისთვისაც.

რეგიონიდან გამოსვლას არ აპირებს ასადის მოკავშირე რუსეთიც. ამ ქვეყნის მაღალჩინოსნები და პოლიტიკოსები ღიად ამბობენ, რომ რუსეთი სირიას არ დატოვებს კონტრტერორისტული ოპერაციის დასრულების შემდეგ. მოხდება კონტინგენტის შემცირება.



კრემლს ასეთი ახსნა აქვს – სირია კარგა ხანს იქნება დაძაბულობის კერა. ამ რეგიონში კონფლიქტური სიტუაციები იარსებებს. ამიტომ რუსეთის ბაზების იქ დარჩენა აუცილებელია. პრობლემას ქმნის ის, რომ სირია რუსეთს არ ესაზღვრება, რაც ართულებს ბაზების მომარაგებას. ამის გამო რუსეთი დამოკიდებული იქნება სხვა ქვეყნებზე. ამჟამად მოსკოვს ტვირთები სირიაში ირანის გავლით გადააქვს.

ახლო აღმოსავლეთში დარჩენილი ტერორისტები შეტევას შეძლებისდაგვარად განაგრძობენ. ამ დღეებში მათ სირიის 8 სოფელი დაიპყრეს. ეს დასახლებები ალ-ქაიდას ხელში იყო.

მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში „დაიშის“ დაჯგუფებები მუდმივად იქმნება. მალე ადგილსამყოფელს სირია-ერაყში დარჩენილი ტერორისტებიც შეიცვლიან.

რამდენიმე თვის წინ აშშ-ის სპეცსამსახურები საუბრობდნენ ხალიფატის საველე ბანაკებზე ლიბანში, სადაც ტერორისტების წვრთნა ხდებოდა. დიდი ხანია ვრცელდება ცნობები მათი ავღანეთში კონცენტრაციის შესახებ.

ახლანდელი მონაცემებით, ისლამური სახელმწიფო გაძლიერებულია ავღანეთის ჩრდილოეთ პროვინციებში. არის ოლქები, რომლებსაც დღისით ადგილობრივი ადმინისტრაცია მართავს, ღამით კი – დაიში. მისი რიგების შევსება ხდება ძირითადად ადგილობრივი თურქმენებითა და უზბეკებით. ავღანურ ხალიფატში აქტიურად წევრიანდებიან ქვრივი ქალები, რომლებიც რუსეთიდან და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან წამოვიდნენ. მათი ქმრები ისლამური სახელმწიფოს მხარეს ბრძოლებში დაიღუპნენ.

ისლამისტების სომალიში მომძლავრების გამო ცოტა ხნის წინ სომალიში მათი კონცენტრაციის ადგილებზე იერიში მიიტანა პენტაგონმა.

ახლო აღმოსავლეთიდან ყოფილი ისლამისტები – ქალები და ბავშვები ჩრდილოეთ კავკასიაში ბრუნდებიან. უფლებადამცველების განცხადებით, მათ სამშობლოში დაბრუნებასა და მშვიდობიან ცხოვრებას ძალოვნები ხელს არ უწყობენ. ზოგიერთ მათგანს პოლიციელები ფულს სძალავენ, ზოგს საბუთს ართმევენ ან წინასწარი დაკავების საკანში ამწყვდევენ.

ახალი წევრების გადაბირებისთვის დაიში ისევ იყენებს ინტერნეტს. ჩეჩნეთის პროკურატურამ მონიტორინგის შედეგად ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდისტული სამი საიტი აღმოაჩინა. ორი დღის წინ რესპუბლიკის პროკურატურამ მათი დაბლოკვის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. ამ გზით დაიშის ინტერნეტრესურსების დაბლოკვას ჩეჩნეთის პროკურატურამ ადრეც მიაღწია.

# ლუგანსკში რუსული ტანკები შევიდნენ

რუსების მიერ ოკუპირებული ლუგანსკი რუსი სამხედროებისა და „დონეცკის რესპუბლიკის“ ბოევიკების ხელთაა.

მოსკოვი ლუგანსკში რუსული ტანკების შეყვანას კარგა ხანია უარყოფდა. მობილური კავშირების აღდგენის შემდეგ რუსული ტანკების შეყვანა ოფიციალურად დადასტურდა.

– ჩვენ ლუგანსკში განვითარებულ მოვლენებს ყურადღებით ვაკვირდებით. ყველაფერი ჩვენ მიერ კონტროლდება, – ამბობს პუტინის თანაშემწე პესკოვი.

უკრაინელი ექსპერტის ფისენკოს აზრით, ლუგანსკის პუტჩი ორ კრიმინალურ დაჯგუფებას შორის კონფლიქტმა განაპირობა. პირველს სათავეში „ლუგანსკის რესპუბლიკის“ მეთაური პლოტნიცკი უდგას, მეორეს – ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრი იგორ კორნეტი. პლოტნიცკის მხარს რუსეთის პრე-



ზიდენტის თანაშემწე სურკოვი უჭერს, კორნეტს – ფსბ.

– ადგილობრივ კრიმინალთა კონფლიქტს რუსეთის სახელმწიფო უწყებათა შორის კონფლიქტიც ერთვის, – ამბობს ფისენკო.

„ლუგანსკის პუტჩს“ საინტერესო მოვლენები დაემთხვა. უკრაინის ექსპრემიერმა აზაროვმა, რომელიც დღეს რუსეთშია გადახვეწილი, უკრაინის წინააღმდეგ ინტერვენციისკენ მოუწოდა.

– დადგა დრო, რომ ქვეყნებმა, რომლებიც მინსკის შეთანხმებების გარანტები არიან, კერძოდ, რუსეთმა, გერმანიამ და საფრანგეთმა, უკრაინაში ჯარი შეიყვანონ! აუცილებელია უკრაინის ამჟამინდელი მთავრობის გადაყენება, მის ნაცვლად დროებითი ხელისუფლების დანიშვნა და რესპუბლიკაში ელემენტარული წესრიგის აღდგენა! მხოლოდ უკრაინის შიგნით არსებული ძალებით ეს ვერ მოხერხდება, – თქვა აზაროვმა.

უკრაინის შეიარაღებულ ძალებში სრული მობილიზაციაა გამოცხადებული. კიევში ნებისმიერი გართულებისთვის მზად არიან.

# ჩრდილოეთ კორეიდან ჯარისკაცი სამხრეთ კორეაში გაიქცა



ჩრდილოეთ კორეის არმიაში დეზერტირობის ფაქტები გახშირდა. ჯარისკაცები ჩინეთში გარბიან. მიზეზი მარტივია: ჩრდილოეთ-სამხრეთ კორეის საზღვარი კარგადაა დაცული, ჩინეთში გადასვლა კი შესაძლებელია.

ჩრდილოეთ კორეის არმიიდან უკვე არა მხოლოდ მამაკაცები, არამედ ქალებიც გარბიან. მიზეზი არმიაში გაბატონებული დესპოტური რეჟიმი და ანტისანიტარიაა. ქალებს აიძულებენ, მონებივით იმუშაონ. ვისაც სურს, ამისგან თავი დაიცვას, მეთაურს ინტიმური სამსახური უნდა გაუწიოს, ანუ მისი საყვარელი გახდეს.

ფართო რეზონანსი ჰპოვა ჩრდილოეთ კორეის არმიის ჯარისკაცის სამხრეთ კორეაში გადასვლის ფაქტმა. ჯარისკაცმა მოიპარა ჯიპი და საზღვრისკენ გაემართა. ჩრდილოკორეელი მესაზღვრეები მას დაედევნენ. ატყდა სროლა. ერთ-ერთი ტყვია მანქანის საბურავს მოხვდა. ჯიპი უფსკრულში გადაეშვა. მანქანაში მყოფი ჯარისკაცი გადარჩა. ის მანქანიდან გამოძვრა და საზღვრისკენ უკვე სირბილით გაიქცა. ჩრდილოკორეელმა მესაზღვრეებმა მას ცეცხლი გაუხსნეს.

ჯარისკაცს ოთხი ტყვია მოხვდა. ის სამხრეთკორეელმა მესაზღვრეებმა გადაარჩინეს.

ამჟამად ჯარისკაცი სეულის საავადმყოფოში იმყოფება და მკურნალობის კურსს გადის. მის სიცოცხლეს უკვე საფრთხე აღარ ემუქრება.

# რატკო მლადიჩს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს



ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა სერბი გენერლის რატკო მლადიჩის საქმის განხილვა დაასრულა. მლადიჩი აღიარებულ იქნა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორად.

სასამართლომ მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მლადიჩის გასამართლებას ყველაზე უარყოფითი რეაქცია რუსეთში მოჰყვა.

რუსი ლიბერალ-დემოკრატების ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ ჰააგის სასამართლოს კომედია უწოდა.

– მლადიჩი ამერიკელთა დაკვეთით გაასამართლეს. ჰააგელმა მოსამართლეებმა ვაშინგტონის დაკვეთა შეასრულეს, – თქვა ჟირინოვსკიმ.

# ემერსონ მნანგაგვა: „ზიმბაბვეში დემოკრატია იქნება!“



ზიმბაბვეში რობერტ მუგაბეს მრავალწლიანი მმართველობა დასრულდა.

მისი ადგილი ვიცეპრეზიდენტმა ემერსონ მნანგაგვამ დაიკავა.

პირველსავე ინტერვიუში მან განაცხადა, რომ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს პატივს სცემს.

– ზიმბაბვეში დემოკრატია იქნება, – ამბობს ემერსონ მნანგაგვა.

# სულეიმან ქერიმოვს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს



საფრანგეთის სასამართლომ დაკავებულ რუს ოლიგარქ სულეიმან ქერიმოვს ბრალდება ოფიციალურად წაუყენა.

მას გადასახადების გადაუხდელობაში ადანაშაულებენ.

– ეს უსამართლო ბრალდებაა! ყველაფერს ვიღონებთ, რათა ქერიმოვი დავიხსნათ, – აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი.

ჟურნალ ფორბსის ცნობით, რუს ოლიგარქთა სიაში ქერიმოვი 21-ე ადგილზეა. მისი ქონება 6,3 მილიარდი დოლარია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

## ქირავდება

● ქირავდება საკუთარი სახლის პირველი სართული, სამი ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, ინტერნეტი – დიღომში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან ახლოს, თამარ მეფის ქუჩა 3. ფასი 550 ლარი. ტელ: 592-599-777.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# საბურთალო ევროპას წაუგებლად დაემშვიდობა



### საბურთალო (საქართველო)-ბროდარაცი (სერბეთი) 2:2

**თბილისი. მიხეილ მესხი**
**0:1 პეიჩი (20), 0:2 ლუკიჩი (58), 1:2 კოხრეიძე (79), 2:2 ტაბატაძე (90)**

**საბურთალო:** ნასყიდაშვილი, მალი, ხუბაშვილი, ჯინჯოლავა (ჯავახიშვილი 68), ფურცელაძე, ნიკოლაშვილი, კოხრეიძე, კაპანაძე (ტაბატაძე 68), ივანიაძე (ტოკლიკიშვილი 79), გულიაშვილი

**ბროდარაცი:** ზდრავკოვიჩი, დურიჩი, ჯოკოვიჩი, ივანჩევიჩი, მიტროვიჩი, პეიჩი, კოჯიჩი, ტოსესკი (ვ.ლუკიჩი 73), კოჩიჩი, უ.ლუკიჩი (იაკოვლევიჩი 83), ბაბოვიჩი (მილუნოვიჩი 87)

გაძევება: ნიკოლაშვილი (90), ივანჩევიჩი (90)

უეფას ახალგაზრდული ლიგის 2017-18 წლების გათამაშებას საბურთალოს 19 წლამდე გუნდი წაგების გარეშე დაემშვიდობა. რევაზ გოცირიძის გუნდმა 4 მატჩი ჩაატარა, 1 მოიგო, 3 ფრედ დაასრულა და ბროდარაცთან ორრაუნდიან ბრძოლაში საკუთარ მოედანზე მეტი გაშვებული გოლის გამო დამარცხდა.

პირველი მატჩი 1:1 დასრულდა, შინ კი საბურთალოელებმა 2:2 ითამაშეს. ცხადია, გულდასაწყვეტია, მაგრამ თავად ფაქტია აღსანიშნავი. ქართულმა კლუბებმა მესამედ მიიღეს მონაწილეობა და ასეთი შედეგი აქამდე არ დაგვიფიქსირებია. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში დედაქალაქელებმა თურქული ბუსა გამოთიშეს ასპარეზობას, ხოლო წინა წლებში ერთი ეტაპის დაძლევასაც ვერ ვახერხებდით.

კარგია პოზიტივზე საუბარი, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბროდარაცთან გამარჯვება ახლოს არ ყოფილა – საბურთალო 0:2 აგებდა და მხოლოდ ბოლო წუთზე გაიტანა გამთანაბრებელი. ამასთან უნდა ვთქვათ ისიც, რომ დაცვა აშკარად სუსტად გამოიყურებოდა და სერბთა ორივე გოლი მათი უყურადღებობის შედეგია.

რევაზ გოცირიძის შეგირდებმა პირველი გოლისას საჯარიმოდან ბურთის გამოტანა ვერ მოახერხეს, მეორე გოლისას კი უწყინარ სიტუაციაში საკუთარ ნახევარზე დაკარგეს ბურთი და მეტოქეს გოლის გატანის საშუალება მისცეს.

მეტიც შეეძლო ბროდარაცს, თავის მხრივ, საბურთალოს ჰქონდა მომენტები. პოზიტიურია ისიც, რომ გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. ჯერ იური ტაბატაძის პასით, გიორგი კოხრეიძემ შეამცირა სხვაობა, ბოლოს კი, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში თავად ტაბატაძემ მიითვალა გოლი – 2:2.

**რევაზ გოცირიძე:**

– ახალგაზრდულ ლიგაზე ჩემი გუნდის გამოსვლას დადებითად შევაფასებდი, რადგან თამაში არ წაგვიგია. შეგვეძლო შემდეგ ეტაპზე გასვლაც, თუმცა ეს ფეხბურთია – არ გაგვიმართლა. ყოველთვის არ ხდება ისე, როგორც ჩვენ გვინდა. მადლობა ჩემს ბიჭებს თავდადებისთვის. დღეს ორბურთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს, ცოტა რომ გაგვმართლებოდა, მესამე გოლის გატანაც შეიძლებოდა. კლასის მხრივ პრობლემა არ გვაქვს, შეგვეძლო, მეტი გოლი გაგვეტანა, მაგრამ მეტოქის მეკარე კარგად თამაშობდა. ჩემს ფეხბურთელებს არ აკლიათ ოსტატობა, მაღალი დონის ფეხბურთელები არიან.

# შმაგი ბოლქვაძისა და გუნდური ოქროები



პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში გამართულ მსოფლიოს 23-წლამდელთა ჩემპიონატზე ქართველმა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა 1 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალი მოიპოვეს, გუნდურ ჩათვლაში კი პირველობა არავის დაუთმეს.

მსოფლიოს ჩემპიონი შმაგი ბოლქვაძე (66 კგ) გახდა, ვერცხლის მედლები გელა ბოლქვაძემ (75 კგ), ლაშა გობაძემ (80 კგ) და ზვიად პატარიძემ (130 კგ) მოიპოვეს. გელა ბოლქვაძემ მედალი წინა დღეს მოიპოვა და ამაზე უკვე ვწერდით, ხოლო დანარჩენებმა მედლების კოლექცია მეორე დღეს შეაგროვეს.

რიოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი შმაგი ბოლქვაძე ყველაზე უკეთ გამოვიდა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ფავორიტი ბრძოლაში მერვედფინალიდან ჩაერთო და ფინელი რამი პეტრი სირიაე 4:2 დაამარცხა, შემდეგ ჩინელი ქაოქუან ჟანგს 3:1 სძლია, ნახევარფინალში კი პოლონელ რომან პაჩურკოვსკის – 2:0. ასეთივე ანგარიშით იმარჯვა ჩვენებურმა გადამწყვეტ შერკინებაში, სადაც მეტოქედ რუსეთის ნაკრების წევრი ალენ მირზოიანი ჰყავდა.

ოქროს მედლამდე 1 ნაბიჯი დააკლდა ევროპის 2-გზის ჩემპიონსა და მსოფლიოს ბრინჯაოსმედალოსანს უფროსებს შორის ლაშა გობაძეს. ქართველმა მოჭიდავემ მერვედფინალში მოლდოველ ვიორელ ბურდუიას იოლად, 7:1 მოუგო, მეოთხედფინალში უკრაინელი ანდრიი ანტონიუკი 4:2 დაამარცხა, ნახევარფინალში შვედი ალექს მიჩელ ბიურბერგ კესიდისი – 2:1. სამწუხაროდ, ასეთივე ანგარიშით დამარცხდა ფინალში თურქ ბურჰან აკბუდაკთან.

მოულოდნელად ვერცხლს დასჯერდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ზვიად პატარიძე. მან მერვედფინალში უნგრელი ფერენც ალმაში 8:0 გაანადგურა, იოლად მოიგო შემდეგ 2 შეხვედრაც: მეოთხედფინალში ლიტველ მანტას კნისტაუტასთან (5:1), ხოლო ნახევარფინალში კი ირანელ ამინ მოჰამადზამან მირზაზადესთან (3:0). ოქროს მედლისთვის შეხვედრაში კი რუს სერგეი სემიონოვთან 3:5 წააგო.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

**22 ნოემბერი**
**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ყარაბახი-ჩელსი | 0:4 |
| ცსკა-ბენფიკა | 2:0 |
| ანდერლეხტი-ბაიერნი | 1:2 |
| ატლეტიკო-რომა | 2:0 |
| ბაზელი-მანჩესტერი | 1:0 |
| პსჟ-სელტიკი | 7:1 |
| სპორტინგი-ოლიმპიაკოსი | 3:1 |
| იუვენტუსი-ბარსელონა | 0:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ვულვზი-ლიდსი | 4:1 |
| იფსვიჩი-უენსდი | 2:2 |
| მიდლსბრო-ბირმინგემი | 2:0 |

# თბილისის დინამო და ქუთაისის ტორპედო ჩემპიონს ბოლო ტურში გაარკვევენ

### საბურთალო-დინამო (თბ) 0:0

**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**

**საბურთალო:** კუპატაძე, მარგველაშვილი, ნადარაია, თედ.გრიგალაშვილი, შინდაგორიძე, ხარაიშვილი, ჩაბრაძე, ტერა (მამუჩაშვილი 60), თარხნიშვილი, ვოლკოვი, მუეცი

**დინამო:** ლიტოვჩენკო, თოთაძე, გეგეჭკორი, კიტეიშვილი, მიქელთაძე, შულაია, ქოჩლაძე (დავითაშვილი 60), სალუქვაძე, კობოური, კუცია (ლილუაშვილი 88), ქავთარაძე (კვარაცხელია 67)

უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგა თბილისის დინამომ. დედაქალაქურ დერბიში დინამოელები საბურთალოს დაუპირისპირდნენ და ფრედ 0:0 ითამაშეს.

კახაბერ კაჭარავას გუნდს რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ფეხბურთელებს სიზუსტე არ ჰყოფნიდათ. განსაკუთრებით კარგი მომენტები ჰქონდათ ბექა ქავთარაძესა და ლაშა ქოჩლაძეს, თუმცა შემტევებმა გატანა ვერ მოახერხეს.

დინამოელთა მსგავსად საკუთარი მომენტების გამოყენება ვერც საბურთალოელებმა შეძლეს. მათი მხრიდან გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა გიორგი ხარაიშვილსა და დავით ვოლკოვს ჰქონდათ. თუმცა, საბოლოოდ მატჩი უგოლოდ დასრულდა.

მოპოვებული ქულით საბურთალომ მე-4 ადგილი გაინაღდა და იმ შემთხვევაში თუ საქართველოს თასის მფლობელი ქუთაისის ტორპედო გახდება, არსებობის განმავლობაში პირველად თბილისური კლუბი ევროტურნირებზე იასპარეზებს.

### ტორპედო-დინამო (ბთ) 2:0

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**
**1:0, 2:0 კაპანაძე (48, 53)**

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, კაპანაძე, კუხიანიძე, გ.გურული, კუტალია (საღრიშვილი 88), დოლიძე (კორობკა 65), ქიმაძე, გიგაური, ტულუში (ბაბუნაშვილი 77)

**დინამო:** ტაკიძე, ფარტენაძე, ქორიძე, ვარშანიძე, გ.ქავთარაძე, თევდორაძე, ჩოგაძე (სუხიაშვილი 68), ე.გრიგალაშვილი (კეკუა 16), მგელაძე, კვასოვი, ჯოვინო ფლამარიონი (მარცვალაძე 56)

უშუალო კონკურენტის წარუმატებელი თამაშით ისარგებლა ქუთაისის ტორპედომ და არსებული ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა. რიონისპირელებმა საკუთარ მოედანზე ბათუმის დინამოს უმასპინძლეს და მეტოქე დამაჯერებლად, ანგარიშით 2:0 დაამარცხეს.

პირველი ტაიმი ორმხრივი შეტევებით წარიმართა და გატანა ორივე გუნდს შეეძლო. მეორე ნახევარში კი, სრული უპირატესობა მასპინძლებმა მოიპოვეს და შეხვედრის სასურველი შედეგით დასრულება არ გასჭირვებიათ.

ტორპედომ მატჩის ბედი 5-წუთიან მონაკვეთში გადაწყვიტა: 47-ე წუთზე ლევან კუტალიას პასით თორნიკე კაპანაძემ ანგარიში გახსნა. 53-ზე კი გრიგოლ დოლიძის პასით დუბლი გაიფორმა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ეროვნული ლიგის მიმდინარე სეზონი ბოლო ტურის მატჩები 25-26 ნოემბერს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ 2017 წლის საქართველოს ჩემპიონის ვინაობა 26 ნოემბერს თბილისში, „დინამო არენაზე" გასამართ ქართულ დერბიში გაირკვევა – თბილისის დინამოსა და ქუთაისის ტორპედოს დაპირისპირება 17:00 საათზე დაიწყება



### კოლხეთი-ჩიხურა 0:4

**ფოთი. პარკი არენა**
**0:1 ტატანაშვილი (42), 0:2 გაბედავა (47), 0:3 ტატანაშვილი (56), 0:4 გაბედავა (64)**

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, გ.კილასონია (ბახია 46), გურეშიძე, გოგონაია, ნონდი, კაკულია, ბროვკო, ჯანელიძე (მახარაძე 73), ჟიშკარიანი (შალიკაშვილი 53), ბოლქვაძე, ბუხაიძე

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, თორ.გრიგალაშვილი, მირცხულავა, ფონიავა, განუგრავა, გაბედავა, სარდალიშვილი (დეკანოიძე 60), კორიფაძე, ტატანაშვილი, კაკუბავა, გორგიაშვილი (დობროვოლსკი 68)

სატურნირო თვალსაზრისით აღნიშნული შეხვედრა ფოთელებისთვის ბევრად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ კოლხებმა იმერლებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და უშანსოდ დამარცხდნენ.

ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გაიხსნა, 41-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად დიმიტრი ტატანაშვილმა შეასრულა. მეორე ნახევარიც საჩხერელთა შეტევებით განახლდა და 48-ე წუთზე გიორგი გაბედავამ საკუთარი გუნდის უპირატესობა 2 ბურთამდე გაზარდა. ჩიხურამ მატჩის დასრულებამდე კიდევ ორჯერ მოახერხა მეტოქის კარის აღება. 55-ე წუთზე ტატანაშვილმა გაიფორმა დუბლი, 62-ზე – გაბედავამ.

### დილა-შუქურა 0:1

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**
**0:1 შალამბერიძე (59)**

**დილა:** მუჯრიშვილი, ფოფხაძე, ჭეჭელაშვილი, წიქარიძე, ნონიკაშვილი, კუსიანი, აბუბაკარი (პაპავა 46), ჰეიფორდი (ფანცულაია 54), ქარქუზაშვილი, პედრინიო, დერეტი (აშორტია 62)

**შუქურა:** სომხიშვილი, ჩადუნელი, პომაზანი, დავით ჩაგელიშვილი, ჯეფინიო, კლიმიაშვილი, შალამბერიძე, მარსელინიო, კახელიშვილი, გოგიტიძე, ჩაჩუა (ართმელაძე 53)

კოლხეთის მარცხით ისარგებლა ქობულეთის შუქურამ და აჭარლებმა გადათამაშების ზონაში მოხვედრის შანსი ბოლო ტურამდე შეინარჩუნეს. გუნდებს შორის სხვაობა 2 ქულამდე შემცირდა და გიორგი შაშიაშვილის გუნდს კარგი შანსი აქვს ეროვნულ ლიგაში დასარჩენად იბრძოლოს.

რაც შეეხება უშუალოდ 35-ე ტურის შეხვედრას, შუქურა სტუმრად გორის დილას ესტუმრა და დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით მოიგო.

მატჩი ორმხრივი შეტევებით წარიმართა და ორივე კართან საკმაოდ ბევრი მომენტი შეიქმნა. ცალკე აღნიშვნის ღირსია მეკარეთა კარგი თამაში, მიხეილ მუჯრიშვილმა და გიორგი სომხიშვილმა რამდენიმე რთული ბურთი მოიგერიეს. შეხვედრის ერთადერთი გოლი 58-ე წუთზე გავიდა. საკუთარი გუნდის სწრაფი კონტრშეტევა შედეგიანი დარტყმით კობა შალამბერიძემ დაასრულა.

### ლოკომოტივი-სამტრედია 2:5

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**
**0:1 არველაძე (24), 1:1 კასრაძე (30), 1:2 მანჯგალაძე (37), 2:2 კიკაბიძე (54), 2:3, 2:4, რაჟამაშვილი (66, 70), მანჯგალაძე (87)**

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჭანტურია (ხარძიანი 51), ნ.ქავთარაძე, გვალია, კიკაბიძე (ვარძელაშვილი 67), გოროზია, არველაძე, გაბაძე, კობახიძე, რეხვიაშვილი (ხიდაშელი, 46), უბილავა

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, კასრაძე, ბალდე, მჭედლიშვილი (მარკოზაშვილი 83), დათუნაიშვილი, რაჟამაშვილი, მანჯგალაძე, გიი (ბურკაძე 88), საბანაძე, ოლაიტანი

უხვგოლიანი გამოდგა თბილისის ლოკომოტივისა და სამტრედიის დაპირისპირდება. თბილისელები 2:5 დამარცხდნენ და მე-4 ადგილზე გასვლის თეორიული შანსიც დაკარგეს.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, 25-ე წუთზე ზუსტი შორეული დარტყმით ვატო არველაძემ გაიტანა. თბილისელთა სიხარული დიდ ხანს არ გაგრძელებულა და 30-ე წუთზე გიული მანჯგალაძის მოწოდებული კუთხურის შემდეგ ლაშა კასრაძემ წონასწორობა აღადგინა. პირველი ნახევრის დასრულებამდე „სამტრედიამ" დაწინაურებაც მოახერხა, 37-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებიდან მოჭრილი დარტყმით გიული მანჯგალაძემ გაიტანა.

წაგებული ტაიმის შემდეგ ლოკომ მეორე ნახევარი აქტიურად დაიწყო და 54-ე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრა. თბილისელთა მხრიდან გატანილი გოლის ავტორი ლუკა კიკაბიძე გახდა. ამის შემდეგ შეხვედრა ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა, სახიფათო მომენტები ორივე გუნდის კართან შეიქმნა, თუმცა გატანა მხოლოდ სამტრედიელებმა მოახერხეს. 68-ე და 72-ე წუთზე დავით რაჟამაშვილმა დუბლი გაიფორმა. 88-ეზე კი მანჯგალაძემ რევაზ თევდორაძეს მეორედ გაუტანა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 35 | 23 | 6 | 6 | 79-28 | 75 |
| 2.ტორპედო | 35 | 22 | 7 | 6 | 58-27 | 73 |
| 3.სამტრედია | 35 | 20 | 7 | 8 | 60-37 | 67 |
| 4.საბურთალო | 35 | 17 | 6 | 12 | 59-41 | 57 |
| 5.ლოკომოტივი | 35 | 16 | 5 | 14 | 63-52 | 53 |
| 6.ჩიხურა | 35 | 16 | 4 | 15 | 46-54 | 52 |
| 7.დილა | 35 | 11 | 7 | 17 | 39-49 | 40 |
| 8.დინამო (ბთ) | 35 | 10 | 3 | 22 | 27-58 | 33 |
| 9.კოლხეთი | 35 | 5 | 8 | 22 | 29-72 | 23 |
| 10.შუქურა | 35 | 4 | 9 | 22 | 34-76 | 21 |

# საქართველო გერმანიისთვის ემზადება

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გერმანიაში 2 ვარჯიში ჩაატარა. თავდაპირველად ილიას ზუროსის განკარგულებაში 11 კალათბურთელი იყო. გერმანიაში ვარჯიშამდე შეუერთდა ნაკრებს მაკლ დიქსონი, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილი შუადღისას ჩავიდა და პირველ ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღია.

ვარჯიშს აღდგენითი ხასიათი ჰქონდა. მგზავრობის შემდეგ მწვრთნელებმა მოთამაშეები დიდად არ დატვირთეს. მეტი ყურადღება დაეთმო ფიზმომზადების მწვრთნელის სპეციალურ ვარჯიშებს, ხოლო ილიას ზუროსმა გუნდი კომბინაციებზე ამუშავა.

საქართველოს ნაკრებმა მეორე ვარჯიში რიჩარდ ჰარტმანის დარბაზში უკვე სრული შემადგენლობით გამართა, ხოლო დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩს გამართავს გერმანიის ეროვნულ გუნდთან.



# ნეიმარი რეალზე შეკითხვამ გააღიზიანა



პსჟ-ს ვარსკვლავ ნეიმარს სელტიკთან მატჩის შემდეგ ჟურნალისტმა რეალში მის შესაძლო გადასვლაზე დაუსვა შეკითხვა, რამაც ბრაზილიელი ფეხბურთელი გააღიზიანა.

ნეიმარმა განაცხადა, რომ ის მხოლოდ პსჟ-ზე ფიქრობს და ჟურნალისტებმა უნდა შეწყვიტონ რეალზე კითხვების დასმა. ნეიმარი სხვა შეკითხვამაც გააღიზიანა, რადგან მას გერმანია-ბრაზილიის შეხვედრა გაახსენეს, რომელიც გერმანელებმა 7:1 მოიგეს.

ანალოგიური ანგარიშით დასრულდა პსჟ-სელტიკის დაპირისპირებაც და ჟურნალისტმა ნეიმარს სთხოვა, ეს ორი შეხვედრა ერთმანეთისთვის შეედარებინა. ნეიმარმა უპასუხა, რომ ძველი მატჩების გახსენება საჭირო არ არის.

# ლივერპულს იულიან დრაქსლერის ყიდვა სურს




ლივერპულს კვლავინდებურად სურს პსჟ-ს გერმანელი ნახევარმცველის იულიან დრაქსლერის შეძენა, რომელიც პსჟ-დან, სავარაუდოდ, წავა, რადგან ნეიმარის მისვლის შემდეგ დრაქსლერმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

დრაქსლერის ყიდვა სხვა კლუბებსაც სურთ, მაგალითად, მიუნხენის ბაიერნს, ამიტომ ლივერპულისთვის მისი შეძენა იოლი არ იქნება.

ლივერპულის მწვრთნელ იურგენ კლოპს უკვე დიდი ხანია სურს, დრაქსლერი თავის გუნდში იხილოს, მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ სურვილად რჩება.

პსჟ-ში გადასვლამდე დრაქსლერი ვოლფსბურგის ღირსებას იცავდა.

# იგორ აკინფეევმა გოლი არ გაუშვა და ჩემპიონთა ლიგაში

## 44-მატჩიანი სერია შეწყვიტა



მოსკოვის ცსკა-ს მეკარე იგორ აკინფეევმა ბაზელთან შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა და ამით 44-მატჩიანი სერია შეწყვიტა, რომლებშიც ის მუდმივად უშვებდა გოლს.

აკინფეევმა ბოლოს 2006 წლის ნოემბერში არ გაუშვა გოლი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში და ამის შემდეგ 11 წლის განმავლობაში ვერაფრით ახერხებდა, კარი მშრალად შეენახა.

ცსკა-მ ბაზელი საკუთარ მოედანზე 2:0 დაამარცხა და მოსკოველებს აქვთ შანსი, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდნენ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ჯაბა კანკავა ყაზახურ ტობოლში ითამაშებს




საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა კარიერას ყაზახურ ტობოლში გააგრძელებს. კანკავამ ფრანგული რეიმსი ზაფხულში დატოვა. ამის შემდეგ თავისუფალი აგენტი იყო და არცერთი გუნდის ღირსებას არ იცავდა. ტობოლი შარშან ყაზახეთის ჩემპიონატში მე-5 ადგილზე გავიდა, ხოლო 2010 წელს ქვეყნის ჩემპიონიც იყო.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმა კანკავამ ტობოლთან. ჯაბა უკვე ყაზახეთში იმყოფება და მალე თავის ახალ გუნდთან ერთად მოედანზეც ვიხილავთ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ბორჯღალოსნები შემადგენლობას შეცვლიან, ბინგო ცენტურიონი გახდება



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა წლის დამაგვირგვინებელი მატჩის წინ შევარდენის სანაკრებო ბაზაზე ღია ვარჯიში გამართა. თიბისი რაგბის სერიების მეორე შეხვედრაში ბორჯღალოსნები აშშ-ის ნაკრებს „მიხეილ მესხზე" შეერკინებიან.

შემადგენლობა ჯერ არ გაცხადებულა, თუმცა ბორჯღალოსანთა დაცვის მწვრთნელი ლევან მაისაშვილი ამბობს, რომ, წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, შემადგენლობაში ტაქტიკური ცვლილებები იქნება:

**ლევან მაისაშვილი:**

— ამერიკასთან მატჩს მომზადებული ვხვდებით. უელსიდან დაბრუნების შემდეგ გავიარეთ რეაბილიტაცია და შევუდექით მზადებას. გვყავს რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშე, შემადგენლობაში გვექნება ტაქტიკური ცვლილებებიც. ვცდილობთ დავხვეწოთ ჩვენი თამაში, როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში და, თუ ხარისხი გვექნება, შედეგიც შესაბამისი დადგება... უელსთან ასეთ შედეგს არავინ ელოდა. ანგარიში შესაძლოა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, თუმცა შედეგით კმაყოფილები ნამდვილად არ ვართ. რეალურად გვქონდა შანსი, რომ მატჩი ფრედ დაგვესრულებინა, მაგრამ შანსი ხელიდან გავუშვით. ვეცდებით აშშ-სთან უკეთ ვითამაშოთ.

გიორგი ჩხაიძე (ბინგო) ამერიკელებთან მოედანზე გასვლის შემთხვევაში მეასე სანაკრებო კეპს მოიხვეჭს და მესამე ბორჯღალოსანი ცენტურიონი გახდება:

**გიორგი ჩხაიძე:**

— ბედნიერი ვარ, რადგან მეასედ დავდგები საქართველოს ჰიმნზე. ასევე ბედნიერი ვარ, რადგან იმ ბიჭების გვერდითაც მითამაშია, რომლებიც ახლა გუნდში აღარ არიან. არასდროს ყოფილა ჩემი მიზანი, რომ ნაკრებში მაინცდამაინც 100 თამაში ჩამეტარებინა და ამ შეხვედრისთვისაც ჩვეულებრივად ვემზადები. ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, გავალთ მოედანზე და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ვფიქრობ, კარგად მოვემზადეთ და, იმედია, გამარჯვებას მოვიპოვებთ. აშშ-ის ნაკრები ისევე ვითარდება, როგორც ჩვენ. სწრაფი და ღონიერი ბიჭები ჰყავთ, მოედანზე კარგად გადაადგილდებიან და, ვფიქრობ, იოლი თამაში არ გვექნება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ნამცხვარი ტრამპის ქორწილიდან აუქციონზე გაიყიდა



ნამცხვარი, რომელიც 2005 წელს ტრამპის ქორწილიდან იყო შემორჩენილი, აუქციონზე 2240 დოლარად გაიყიდა.

ვაჭრობაზე ლოტის საწყისი ფასი 250 დოლარს შეადგენდა. ნამცხვარი გასაყიდად აუქციონის სახლმა ჯულიენს აუქციონმა გამოიტანა. ლოტის გამყიდველისა და მყიდველის ვინაობა უცნობია. ნამცხვარი მუყაოს კოლოფში 12 წელი ინახებოდა. დონალდ ტრამპისა და მელანია კნავსის (შემდგომში მეუღლის გვარზე გადავიდა) ქორწილი 2005 წლის 22 იანვარს გაიმართა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 24 ნოემბერი



**ვერძი** — ნებისმიერ საქმეში გაგიმართლებთ, თუ მათი შესრულებისას განსხვავებულ მეთოდებს გამოიყენებთ. ფუჭ საუბრებს ერიდეთ. **კურო** — დაკავდით სპორტით, დაიტვირთეთ ფიზიკურად. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ტყუპები** — შეეცადეთ, დაწყებული საქმე დღესვე დაამთავროთ. იყავით გულმოწყალე და ლმობიერი. **კირჩხიბი** — ფიზიკური დატვირთვა ზომიერების ფარგლებში გუნება-განწყობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** — თავმდაბლად იმუშავეთ. ხელმძღვანელობას პრეტენზიებს ნუ წაუყენებთ. დაბრკოლებების გადალახვა არ გაგიჭირდებათ. **ქალწული** — ნუ დაწვრილმანდებით. დიდსულოვნება და მიმტევებლობა დღის დევიზია. **სასწორი** — ახალი ნაცნობობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ურთიერთგაგებისა და სიყვარულის გაცემის დღეა. **ღრიანკალი** — არაკეთილისმყოფელი პერიოდია საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. ფულის სესხება ან გასესხება დღეს დაუშვებელია. **მშვილდოსანი** — პირად ცხოვრებაში შექმნილ კრიზისს მარტივად დაძლევთ. გამორიცხული არ არის რომანტიკული პაემანი. **თხის რქა** — მორალური პრინციპების დაცვა სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებთ. ნუ იქნებით უმადური. **მერწყული** — მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. საქმიან პარტნიორებთან თანამშრომლობა იღბლიანი იქნება. **თევზები** — წინააღმდეგობრივი დღეა. აქტიურობის მიუხედავად. მიზნის მიღწევა გაგიძნელდებათ. საღამოს ოჯახის წევრებთან ურთიერთობა დაგაწყნარებთ და სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 2. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 3. ყავის მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 4. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 5. თაფლგამოცლილი ფიჭა; 6. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ძალის გამოყენებით შეერთება; 9. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 10. სამედიატორო სასამართლო; 11. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი და მკურნალობის მეთოდების მედიცინის დარგი; 14. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 16. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კომპანია; 20. ყველაზე დიდი ატომური ელექტროსადგური საფრანგეთში; 23. უძველესი ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 24. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 25. კუთხე საქართველოში; 26. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 7. გადამფრენი ფრინველების პერიოდული მოვლენების, მოძრაობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 8. ნავთობის, გაზის უდიდესი საბადო ირანში; 12. ცხოველის ტანზე დასმული დამღა; 13. ბრიტანეთის ნაწილი; 15. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ბრაზილიური ფირმა; 17. ესპანელი მხატვარი; 19. ხურდა ფული აშშ-ში; 21. აეროპორტი პარიზში; 22. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 27. ძველი, იშვიათი ნივთიერების შემფასებელი, მოვაჭრე; 28. ძველებური ქართული ქალაქური ცეკვა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შერპი; 2. წაბლი; 3. წალვერი; 4. ეტლი; 5. ბორა; 6. ბიგამია; 9. ნიკორწმინდა; 10. სუპერმენი; 11. ინსტინქტი; 14. კატაი; 16. „არიბა"; 18. კრაკოვი; 20. „გურიელი"; 23. კოკი; 24. ნაძვი; 25. კოალა; 26. ხოტი.

**თარაზულად:** 7. ბარისტერი; 8. აბსოლუცია; 12. მელუა; 13. „ონიმა"; 15. ატომი; 17. ტაბაწყური; 19. კაისა; 21. ფაუნა; 22. ფტორი; 27. კვირიკაძე; 28. „პასტორალი".

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ეფრემვერდი; 2. ინკები; 3. ჰურიები; 4. თლაშო; 5. პიტიუნტი; 6. მურეი; 7. ვანდომი; 9. „სინხუა"; 13. დიჯეი; 17. საკი; 18. სნო.

**თარაზულად:** 1. ეპარქია; 3. ჰერეთი; 8. ძირულა; 10. ბედუინი; 11. ამანი; 12. კორპუსი; 14. სეგუნი; 15. ქსილიტი; 16. ტესტი; 19. ავერსი; 20. ვიოლინო; 21. ტალინი.

# თამარ ივერი: „დროა, ჩავახშოთ ეს უსაფუძვლო ტორნადო ჭიქაში!“



ოპერის მომღერალი თამარ ივერი საზოგადოებაში შემოგდებულ თემებს აკრიტიკებს და მთავარი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემების მიჩუმათებით უკმაყოფილოა:

– დავიღალე უკვე ამდენი უაზრო პოსტებით ამ მიშტერება-ხელის მოთათუნება-დასტვენებზე. ქვეყანას, სადაც ფულისა და სულის ინფლაციაა... მეტი გასარჩევი თემა არა აქვს? თუმცა, ცნობილი გამოთქმაა ერთი დიდი პოლიტიკოსის: მიეცი ხალხს გასართობი, რომ შიმშილი გადაავიწყდესო.

სიმართლე რომ ვთქვათ, ვის სჭირდება ან ეს კანონი და ან ამ თემით აპელირება? მოდი, ეყოთ მავანთ გამბედაობა და ვაღიაროთ, რომ ოდითგანვე ქალი იმიტომ ილებება სარკესთან საათობით, ასევე საათობით ატარებს დროს სილამაზის სალონებში და კუთავს მისი ყოველი კულულის მდებარეობაზე და „უკლადკაზე“, იმიტომ იხდის უკანასკნელ კაპიკებს და ლუკმაპურის ფულს იმ მაღალქუსლიან ფეხსაცმელში, რომელიც „ვიტრინაში“ მოეწონა, სწორედ იმიტომ დებს თავის უკანასკნელ თუ არა, ხელფასის უმრავლეს თანხას შოპინგში, სწორედ იმიტომ იხდის ათასებს და ათი ათასებს ტუჩებისა თუ მკერდის ამობურცვაში, ნაოჭების გაქრობაში, ბოტოქსებში, ფილერებში, პლაზმოლიფტინგებში და ა.შ. რომ მას როგორმე მიაშტერდნენ მამაკაცები! ეს ყველა ქალს სიამოვნებს, მიუხედავად მისი ოჯახური მდგომარეობისა, რჯულისა და აღმსარებლობისა. და ეს წრიალი და კანონებისა და მუხლების ჩხრეკა სწორედ იმ ქალების იდეა მგონია, ვისაც არ აშტერდებიან ან არ მიშტერებიან, ან ძალიანაც მოუნდომებიათ, მაგრამ მაინც არ მიშტერებიან, ან თავად ისინი მიშტერებიან და ის კი მის დაქალს მიშტერებია და ა.შ. და ახლა შინაგანი შურისძიების შანსი ეძლევათ.

შანსი... ამდენი წლის განმავლობაში თავის თავზე დახარჯული კაპიტალის წილ... მაინც არავის მხრიდან არმიშტერების გამო. ის კი არადა, დღეს ლამისაა საცვლებგადმოყრილებმა იარონ ვინმე მამრის „მიშტერების“ ეშხით, მაგრამ მაინც არავინ აშტერდებათ. ქალის ხიბლი ხომ სულ სხვა, უხილავ დეტალებში იმალება, რასაც წამიერ გარეგნულ ეფექტებთან საერთო არაფერი აქვს.

რაც შეეხება დასტვენას... ნამდვილი და ღირსეული ქალი ქუჩაში დასტვენილზე არ რეაგირებს და ის თავს არ აკადრებს, რომ ეს დასტვენილი მისი მისამართით ჩათვალოს. მეორე მხრივ... დასტვენა აღფრთოვანების ნიშანიცაა და მას თამამად იყენებენ სტადიონებზე თუ წითელ ხალიჩებზე ვარსკვლავების მიმართ. რაც შეეხება ტელეფონის გამორთმევას. დღევანდელ ეპოქაში ვერავინ ვერავის დაემალება. ტელეფონებისა და პეროიანი კალმებით წერილების წერის დრო წავიდა... სოციალური ქსელებისა და ახლობელთა წრეების საშუალებით დღეს ნებისმიერ სასურველ ქალბატონთან გახვალ კავშირზე. მას თავად უნდა ჰქონდეს იმის ჭკუა და გონება, ვინ მიუშვას მის „საძოვარზე“ და ვინ არა. იგივე პრინციპია გენიტალიების ხელის მოთათუნების თეორიაზე, ანუ როგორც რუსი ქალბატონები იტყვიან: „ნადა ზნატ, კამუ დატ“ და სრულებით არ სჭირდება ამ ამბავს პოლიციებში რეკვა, ტელესიუჟეტები და კანონის მუხლებისა და პარაგრაფების შემოღება.

ყველანი ქალები ვართ, არც გარეგნობა გვაკლდა და არც სახელი, ფლირტიც გვქონია და მავანთა მიერ იმაზე ზედმეტის მცდელობებიც ყოფილა ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში, ვიდრე ვაგრძნობინებდით, მაგრამ პოლიციებში არ გვირბენია და ტელესიუჟეტები არ გვიკეთებია, „იმან აქ მომისვა ხელი და ამან აქ ამომდო“ თემებზე. სხვათა შორის, ის მაღალინტელექტუალური და მოაზროვნე საზოგადოება და ის ძველი თბილისი მისი ღირსშესანიშნავი ქალბატონებით, რაც ჩემს ბავშვობაში იყო და მანამდეც... აღარ განმეორდება და რატომღაც მათ არ დასჭირვებიათ ამ თემით აპელირება და სწორედ იმ „მამაკაცთა თავაშვებულობის“ ეპოქაში შეიქმნა ლეგენდარული კინოს, პოეზიისა და პროზის შედევრები სპეტაკი სიყვარულის თემებზე.

და საერთოდაც, არსებობს რაღაც თემები, რაც საოცრად პირადულია და მისი აფიშირება თავადვე დაგამცირებს. სხვათა შორის, ბრიტანეთის დედოფალი საკუთარ ტრუსს თავისი ხელით რეცხავს. ეს ისე... ცნობისათვის. ასე რომ, დროა, ჩავახშოთ ეს უსაფუძვლო ტორნადო ჭიქაში!

# ნინო მაჩაიძეს ოსკარი გადასცეს



ქართველ სოპრანო ნინო მაჩაიძეს ოსკარი გადასცეს. ფოტო ოსკართან ერთად მომღერალმა სოციალურ ქსელში გაავრცელა და უამრავი მილოცვა მიიღო.

როგორც ნინომ განაცხადა, სოპრანოს ეს ჯილდო ლოს ანჯელესში გადაეცა. ინიციატორი საოპერო მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულშემატკივარი ქალბატონი ჯოანა ქიურაში აღმოჩნდა. როგორც თავად ჯოანამ განაცხადა, ნინო მაჩაიძემ ეს ჯილდო განუმეორებელი სიმღერისა და საუკეთესო შესრულებისთვის დაიმსახურა.

ქართველმა სოპრანომ უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო. როგორც ნინო მაჩაიძემ თავის გულშემატკივრებს განუმარტა, ეს საჩუქარი მისთვის იმდენად მოულოდნელი და სასიამოვნო აღმოჩნდა, რომ გადაწყვიტა, ეს ამბავი ყველასთვის გაეზიარებინა.

# გია ყანჩელმა ხელოვანები დააჯილდოვა

კომპოზიტორმა გია ყანჩელმა ხელოვანები დააჯილდოვა.

რუსთაველის თეატრის სცენაზე კომპოზიტორის ახალი ნაწარმოების პრემიერა შედგა. გია ყანჩელის შემოქმედების მოყვარულმა საზოგადოებამ მაესტრო ნიკოლოზ რაჭველის, საქართველოს



ეროვნული სიმფონიური ორკესტრისა და ბავშვთა გუნდის ბრწყინვალე შესრულებით გია ყანჩელის ახალი ნაწარმოების „დედა ენის“ მსოფლიო პრემიერა მოისმინა.

უკვე მესამე წელია, რაც კომპანია „ბადაგონს“ წილად ხვდა პატივი, გია ყანჩელის სახელობის ყოველწლიური ფულადი პრემია გამორჩეულ ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებს გადასცეს. წელს პრემია ორად გაიყო. სწორედ ამ კონცერტზე პრემია კომპოზიტორმა და მომღერალმა ლიზა ბაგრატიონმა შესანიშნავ მუსიკოს ლევან დეისაძესა და ახალგაზრდა ვოკალურ სექსტეტ „ჯორჯიან სიქსს“ გადასცეს.

# ნანი ბრეგვაძის საიუბილეო საღამოს ქუთაისმა უმასპინძლა



მომღერალ ნანი ბრეგვაძის საიუბილეო საღამო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა.

კონცერტზე მისულ მსმენელს საშუალება ჰქონდა, რუსული რომანსები და ცნობილი კომპოზიციები მოესმინა. საკონცერტო პროგრამის ფარგლებში ნანი ბრეგვაძესთან ერთად მუსიკალური ნომრები შეასრულა ეკა მამალაძემაც. საღამოს მუსიკალური გაფორმება ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით შედგა.

საიუბილეო საღამოს, რიგითი მსმენელების გარდა, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, პირველი მოადგილე გრიგოლ დალაქიშვილი, ვიცეგუბერნატორი იოსებ ხახალეიშვილი და ქუთაისის მერი შოთა მურღულია ესწრებოდნენ.

ნანი ბრეგვაძის იუბილე მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქალაქში კონცერტებით აღინიშნება. როგორც ცნობილია, იუბილარმა მომღერალმა უარი განაცხადა საიუბილეო თარიღის გრანდიოზულად აღნიშვნაზე, ამიტომ ნანი ბრეგვაძის შემოქმედების მოყვარულებს მისი მოსმენა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ეტაპობრივად შეეძლებათ.

# ჯგუფ „სპარკლის“ წევრ ანი ჩხეიძეს შეყვარებულმა ხელი საჯაროდ სთხოვა



ჯგუფი „სპარკლი“ ფართო საზოგადოებამ „იქს ფაქტორიდან“ გაიცნო, მოგვიანებით გოგონებმა უკრაინულ „იქს ფაქტორშიც“ მიიღეს მონაწილეობა, სადაც ასევე დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ჯგუფის ერთ-ერთ წევრ ანი ჩხეიძეს მისმა შეყვარებულმა ირაკლი ფიფიამ ხელი საჯაროდ სთხოვა. ირაკლი ფართო საზოგადოებამ პროექტიდან „შენ შეგიძლია ცეკვა“ გაიცნო, სადაც მან ავტომობილი მოიგო.

ანის ირაკლიმ მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი ერთ-ერთ ბარში მოუწყო. მოცეკვავე ბარში ნიშნობის ბეჭდით მივიდა და მომღერალს ცოლობა სთხოვა, რაზეც ანიმ თანხმობა განაცხადა. ვიდეო სოციალურ ქსელში სალომე მერებაშვილმა გამოაქვეყნა. ირაკლისა და ანის ბედნიერება საუკეთესო სურვილებით უამრავმა ადამიანმა მიულოცა.

# ოთო ფოლადაშვილს ოპერაცია დასჭირდა

მოცეკვავე ოთო ფოლადაშვილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და საოპერაციო გახდა. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ყველა სეზონის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოცეკვავემ თვალის ოპერაცია გაიკეთა.



მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მას ცეკვისთვის დროებით თავის დანებებაც კი მოუწია.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და, როგორც ოთომ ჟურნალისტებს განუცხადა, ახლა თავს კარგად გრძნობს:

– თვალზე მქონდა მხედველობის პრობლემები. უკვე გავიკეთე ლაზერული ოპერაცია და ახლა ყველაფერი კარგად არის.

# ლინდა ადამია სითი პარკს აკრიტიკებს



მომღერალი ლინდა ადამია იმ მრავალრიცხოვან ადამიანთა შორისაა, რომელსაც კომპანია სითი პარკმა ცხოვრება გაუმწარა:

– სითი-პარკ ბოზეეებოო! მოგი...ანთ მომყიდველი და დამაარსებელი! დიდი მადლობა, რომ სადგომიდან გამიქრეთ მანქანა და თქვენ გაჭამეთ ჩემი 70 ლარი! ოდესმე თუ მოვა ისეთი მთავრობა, რომ ამოგძირკვონ. არ გამომიხტეთ ვინმე დამცველი, თორემ თქვენ უარესს გეტყვით, მაგრამ, არა მგონია, ვინმე ეგეთი ულოგიკო და კუ.უ იყოთ. მადლობთ. ნახვამდის!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. კატეგორიული, დაჟინებითი მოთხოვნა; 2. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 3. მხარე ბელგიაში; 4. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 5. საწვავისა და ბალასტისთვის განკუთვნილი ავზები სატრანსპორტო გემზე; 6. პროფესიონალი ცხენოსანი; 7. ქართული მინერალური წყალი; 9. ბუდისტთა სამლოცველო ჩინეთსა და იაპონიაში; 13. ქალაქი ჰოლანდიაში, სადაც განთავსებულია სამეფო რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულებები; 17. პოლონეთის პრეზიდენტი; 18. ბარიტის საბადო რაჭაში.

**თარაზულად**: 1. ბრიტანეთის ნაწილი; 3. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 4. დაქირავებული კავალერი; 10. უცნაური, სასაცილო, სასეირო ამბავი, შემთხვევა; 11. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 12. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 14. რაიმეს განვითარების საფეხური, პერიოდი; 15. მდინარე კახეთში; 16. უნგრელი კომპოზიტორი; 19. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული; 20. ხეობაზე გაყვანილი ხიდი; 21. დაუდუღარი ყურძნის წვენი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# პროგრამა

**ხუთშაბათი 24 ნოემბერი**

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მოგზაური დორა" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 04.00 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15 "სპორტის დაფა" 12.40 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.25 ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" 14.30 დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" 15.30, 06.00 დოკ/ფ "გოთიკური ხელოვნება" 16.30 ტ/სერ. "**ველვეტი**" 18.30, 07.00 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.00, 05.00 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 21.30 "კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე 22.20 **კალათბურთი**. მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი. **გერმანია-საქართველო**. 00.25 მხ/ფ "**შვიდი წელი ტიბეტში**" 02.35 მხ/ფ "**ზომბილენდი**" (ე.სტოუნი)

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ქალაქის გული**" 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 ჩვენ ვარსკვლავები ვართ 00.30 მხ/ფ "**ავტობუსი 657**" 02.00 მხ/ფ "**ბნელი ცა**" 03.45 მხ/ფ "**რეგრესია**" 05.25 მხ/ფ "**კურდღლის სორო**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ბზარი**" 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 28 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

**tv პირველი** 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, მხ/ფ 20.00 პირველები 23.00 ავტორბოლა 23.30 ღალატი

08.00 ან/ფ "**ვარსკვლავური ომები 2**" 09.00 სერ. "**შავი კოდი 2**" 11.00 მხ/ფ "**გააანალიზე ეს**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები-4**" 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი-6**" 21.00 სერ. "**ლურჯის ელფერი**" 22.00 მხ/ფ "**სისხლიანი ალმასი**" 00.45 მხ/ფ "**სიცრუეთა ერთობლიობა**" 03.00 მხ/ფ "**არგო**" 05.15 მხ/ფ "**ოცდამეხუთე საათი**"

**იბერია** 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20, ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.45 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" 21.00 სერ. "**გაქცეულები**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ღია სტუდია 00.00 მხ/ფ "**ორეული**" 3.45 ცენზურის გარეშე

06.15 კვირიაკე 07.10 ქრისტიანული ხელოვნება "წმინდა გიორგის გამოსახულებები ქრისტიანულ რელიგიაში" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დ/ფ "ველური ბუნება-ვეშაპების ცეკვა" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 ტრაპეზი "ლობიო პომიდვრით" 10.25 თბილისის ტაძრები "მამა დავითი" 10.35 ბავშვები მუზეუმში "კაპიტან გიორგი უნაფქოშვილის მუზეუმი" 11.10 ერთსულოვანი ოჯახი 12.05 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" 13.30 ან/ფ "პიტერ პენი" 15.05 ქართული ან/ფ 15.20 გადაცემა-ოპერა "იტალიელი ქალი ალჟირში" I, II 17.40 საქართველოს დაცული ტერიტორიები "ვაშლოვანის დაცული ტერიტორია" 18.10 დ/ფ "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" IV ნაწ. 18.25 არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია..."ჭიათურა" 18.40 ძველი აღთქმის განმარტება 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" 20.40 ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 დროის ჩანაწერები 21.35 ჩვენი ფონდი 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "გუდარეხი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გზა, რომლითაც ვიარე "კალისტრატე ცინცაძე" 23.45 ღვთის სახლი "დრანდა" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.35 დ/ფ "გზა" 3 ნაწ. 01.30 მხ/ფ "**ბაში-აჩუკი**"

**მაესტრო** 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

24 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.7137

ევრო — 3.1897

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5943

100 რუსული რუბლი — 4.6071

## ამინდის პროგნოზი 24 ნოემბრისთვის




## 14 ნოემბრიდან

### უცხოეთში დაკარგული ქართველები




ბედის უკუღმართობით, XV-XIX საუკუნეებში ათასობით ქართველი აღმოჩნდა უცხო მხარეში. ამ წიგნის მიზანია, მკითხველს გაუზიაროს უცხოეთში დაკარგული ქართველების ერთი მცირე ნაწილის თავგადასავალი.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 16 ნოემბრიდან




რომან გვენცაძე

### საბედისწერო გასროლა

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**



## იუმორი

ქართველი ლუვრს ათვალიერებს. გიდი ეკითხება:

– რა მოგწონთ ყველაზე მეტად?

– ვენერაი.

– რომ გაგატანოთ, წაიღებთ?

– რა ჩემ ფეხებად მინდა, უხელებოდ ეგ ძროხას ვერ მოწველის და საჭმელს ვერ გამიმზადებს...

•••

მეზობელი მიტოს ეკითხება:

– რას ჩაფიქრებულხარ?

– შვილებმა შემჭამეს, ცუდი ფერი გადევს და ანდერძი დაწერეო.

– მერე?

– დავწერე, მაგრამ ნოტარიუსი არ მიმოწმებს.

– რათა, კაცო?

– „თქვენი პატრონი დედა“ და „ჩემი ფეხები“ ამოიღეო...

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ქალო, მიდი, საწოლი გაასწორე.

– გავასწორო, თორემ შენც წუხელის არ ჩაღუნე?!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, ჩემ მეზობელ მამუკას ბოლო სტადიის ბრტყელტერფიანობა აქვს.

– ეგ რომელია?

– საცურაო „ლასტები“ ხომ გინახია?

– კი.

– ჰოდა, ეგ ბოლოსწინა სტადიაა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ისეთ „პახმელიაზე“ ვარ, რომ დილიდან ხელები მიკანკალებს. პერანგის გახდა დავიწყე და მთელი ღილები დავიწყვიტე, ჭიქა ავიღე და სახელური მოწყდა...

– მერე?

– ახლა ტუალეტში შესვლა მინდა, მაგრამ მეშინია...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

### სამი მკვლელობა ძველ თბილისში

### პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი

ტომი 13




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

### მონანიება

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

